ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 ნოემბერი 2007 №258 (3181) ფასი 50 თეთრი


# რატომ დაიჭირეს ამისულაშვილი?




## რუსები ქართველს გაუპატიურებაში ადანაშაულებენ!

**ალექსანდრე ამისულაშვილი ვლადივოსტოკურ გაუგებრობას უარყოფს**

# ბეშიქთაში გაირღვა




# რუსთაველი ევროპა დასრულდა

**მაიგაიდი 10:63 ენერჯი-ინვესტი**

25:13 19:18 27:25 30:7

**მაიგაიდი:** გიმსონი (10), ვუხელსი (17), რობერტსი (18), ვაიტი (7), ვან პაასენი (18); შუტენი (11), ფლუკსი (10), ველდუისი (4), ვან ლონი (3), სილადე (3)

**ენერჯი:** გამყრელიძე (14), რივერსი (14), ბოისა (2), სტეფანოვი (11), ბაბიაშვილი (6); ლეჟავა (8), დიდია (10), გოგობერიშვილი (3), ქოჩუა, ცაკავა

არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ რუსთავის „ენერჯი-ინვესტი" ერთი კვირის წინ შინ წაგებულ ათ ქულას ამსტერდამში გაათანაბრებდა და მომდევნო ეტაპზე გააღწევდა. რუსთაველი გუნდი სამი მეოთხედი კი ებრძოლა ამსტერდამელებს, მაგრამ...

ქვემოქართლელები ჰოლანდიის დედაქალაქში ნომინალური ცენტრის გარეშე ჩავიდნენ. 213-სანტიმეტრიანი ანვარ ფერგიუსონი, რომელმაც საკუთარი ძალა რუსთაველებს ვერ დაუმტკიცა, სამშობლოში გააბრუნეს.

ქართველთა დამრტყმელი ძალა ისევ უკანახაზელები იყვნენ — ლაშა გამყრელიძემ და ბელტონ რივერსმა სწრაფი გარღვევებით პრობლემები შეუქმნეს ჰოლანდიელებს, თუმცა ბოლო ათწუთეული მასპინძლებმა 30:7 მოიგეს და დამაჯერებლად გაივაკეს ევროთასის მომდევნო ეტაპზე.

# აუ, რამხელაა რუსეთი...
## სექსსკანდალი კავკასიიდან ვლადივოსტოკამდე

**რუსულმა** მასმედიამ გუშინ ასეთი ცნობა გაავრცელა: „კვირას, გამთენიისას, ვლადივოსტოკის კაფე „მიატნი ტრიუფელში" გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ნალჩიკის „სპარტაკის" ფეხბურთელი დააკავეს" — წერს პოპულარული გაზეთი „სოვეტსკი სპორტი".

მოგვიანებით იგივე ინფორმაცია სხვა საინფორმაციო საშუალებებმაც გაავრცელეს და პრიმორსკელთა შინაგან საქმეთა სამმართველოს მორიგეზე დაყრდნობით დააკონკრეტეს: „დიახ, ნამდვილად ასეა. 4 ნოემბერს ქალაქ ფრუნზეს რაიონის მილიციის განყოფილებაში შევიდა ინფორმაცია ალესია ს.-სგან. ამ განცხადების შემდეგ კი დააკავეს ვინმე ამისულაშვილი, რომელიც ჩაწერილია ნალჩიკში".

ცოტა ხნის შემდეგ რუსმა სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ დაკავებული „ვინმე ამისულაშვილი" ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველი მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი ყოფილა, რომელიც ჩვენების მიცემის შემდეგვე გაუთავისუფლებიათ.

თურმე ნუ იტყვით და, ალეკოს ვლადივოსტოკში, სადაც მისი „სპარტაკი" ადგილობრივ „ლუჩ-ენერგიას" ეთამაშა, ალესია ტაქსიდან ძალით გადაუყვანია, მალაზიის უკან ძალით გაუყვანია და იქ...

— ახლა უკვე ნალჩიკში ვარ და ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩისთვის გუნდთან ერთად ვემზადები. ყველაფერი კარგადაა — გვითხრა გუშინ ალეკო ამისულაშვილმა.

— რა მოხდა ვლადივოსტოკში?

— ახლაც არ ვიცი... დილით გუნდი სასტუმროდან აეროპორტში მიდიოდა, როცა დამაკავეს და განყოფილებაში წამიყვანეს. გუნდი ნალჩიკში უჩემოდ გაფრინდა, თავად კი იქ მოგვიანებით ჩავედი.

— ქალთან დაკავშირებით რას გვეტყვი?

— რა გითხრათ, ჭკუაზე აღარ ვარ. ცოლი ცალკე ნერვიულობს, მშობლები, ძმა, ნათესავები და ახლობლები ცალკე... თურმე სადღაც ვიღაც გააუპატიურეს და შეცდომით მე დამაკავეს. თანაც, როცა მილიციამ საბუთები მომთხოვა, არაფერი მქონდა. მათ კი მეტი რა უნდოდათ, ქართველი მნახეს და განყოფილებაში წამიყვანეს. დიდი სისულელე და ძალიან ცუდი ამბავი მოხდა.

— ახლა რა იქნება? რუსეთში ბევრი წაიკითხავდა, რომ ალეკო ამისულაშვილი გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი...

— ამ საქმეზე უკვე ჩემი კლუბი მუშაობს და იმედი მაქვს, მალე ყველაფერი მოგვარდება. ეს არის ტყუილი და ტყუილის მთქმელსა თუ დამწერს პასუხი უნდა მოეთხოვოს...

*ისე, პირველი და მეორე შემთხვევა არ არის, როცა შავანი ქალი ფეხბურთელს ასეთნაირად აშანტაჟებს...*

*ალეკო ამისულაშვილმა ეს ამბები რომ მოგვიყვა, ცოტა ხანში ნალჩიკის „სპარტაკმა" ოფიციალური განცხადებაც გააკეთა. კერძოდ:*

*„საინფორმაციო საშუალებების თითქმის არც ერთმა წარმომადგენელმა არ დაიკლო ის სიამოვნება, რაც „ამისულაშვილის საქმეს" შეეხება, თანაც, როცა თავად ამისულაშვილი ყველაფერს უარყოფს. საფეხბურთო კლუბ „სპარტაკ ნალჩიკის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეს ინციდენტი კიდევ ერთი ნაბიჯია საინფორმაციო ომისკენ, რომელიც მიმართულია ჩვენი საფეხბურთო კლუბის მიმართ. მასმედიაში გამოქვეყნებული ცნობები ამტკიცებენ, რომ ნალჩიკში არიან ყველაზე აგრესიული ქომაგები, ნალჩიკში არის ყველაზე დიდი ქვები, ყველაზე უხარისხო მოედანიც აქ არის და საერთოდ, ამ კლუბმა პირველ დივიზიონში უნდა ითამაშოს... ეს არის კიდევ ერთი აბსურდი და პროვოკაცია ჩვენი კლუბის წამყვანი, შეუცვლელი ფეხბურთელის მიმართ. თანაც ეს ამბები მოხდა გადამწყვეტი მატჩის წინ... ალექსანდრე ამისულაშვილი არის კეთილსინდისიერი და პროფესიონალი. ამჟამად ალეკო არის გუნდთან ერთად ბაზაზე, „ტომის" წინააღმდეგ გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება და სჯერა, რომ მისი სახელი და ავტორიტეტი არ შეილახება".*



**კობა ინასარიძე**

# ცვლილებები დროში

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, შეიცვალა ეროვნული ჩემპიონატის მე-11 ტურის ორი მატჩის დაწყების დრო. 10 ნოემბერს „მერისა" და „ვიტ ჯორჯიას" მატჩი 14 საათის ნაცვლად 10 წუთით გვიან დაიწყება. მიზეზი კი ამ შეხვედრის პირდაპირი ტელეტრანსლაციაა, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს.

11 ნოემბრის მატჩი კი „დინამოსა" და „ზესტაფონს" შორის დაგეგმილზე ერთი საათით ადრე, ანუ 13 საათზე დაიწყება.

და ერთიც: ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია საქართველოს სუპერთასის ჩატარების თარიღი. პროფლიგა თავიდან საქართველოს ჩემპიონ „ოლიმპისა" და თასის მფლობელ „მერის" შეხვედრის ჩატარებას 5 დეკემბერს ზუგდიდში გეგმავდა, ახლა კი სავარაუდო თარიღად 8 დეკემბერი სახელდება...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლიტვამ რაზმი გაამზადა



**ლიტვის** ნაკრები 17 ნოემბერს კაუნასში უკრაინას მასპინძლობს, 21-ში კი თბილისში საქართველოსთან მატჩით დაასრულებს შესარჩევ ციკლს.

ბალტიისპირელები ქართველების კონკურენტები არიან ჯგუფში მეხუთე ადგილისთვის, ამიტომაც ჩვენთვის ლიტვა — უკრაინაც საინტერესოა და რა კუთხით — თუ ალგიმანტას ლიუბინსკასის გუნდი მოიგებს, თბილისში 1:2, 2:3 და ასე შემდეგ, ერთბურთიანი წაგებითაც გავა მეხუთე ადგილზე. ლიტვამ ხომ საქართველოს შინ 1:0 მოუგო, ამიტომაც უკრაინასთან მოგების და თბილისში მინიმალური (1:0-ის გარდა) მარცხის შემთხვევაში, ჩვენების დარ ქულებს დააგროვებს და ურთიერთშეხვედრებში გვაჯობებს.

გუშინ კი ლიუბინსკასმა საამხანაგოდ... ტჩებოდ 26-კაციანი, გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა...

*მეკარეები: ჟილრუნას კარჩემარკასი (დინამო, რუსეთი), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი), მარიუს რაპალისი (ჟალგირისი);*

*მცველები: ანდრიუს შკერლა (კორონა, პოლონეთი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმსტადი, შვედეთი), იგნას დედურა (სპარტაკი, რუსეთი), მარიუს კლიმავიჩიუსი (დინამო, რუსეთი), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებე, პოლონეთი), გედიმინას პაულაუსკასი (ვკრანასი), ტადაშ პაპეკისი (ვურნიკი, პოლონეთი);*

*ნახევარმცველები: აუდრიუს კშანავიჩიუსი, შაიულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), მინდაუგას კალონასი (ყუბანი, რუსეთი), იგორის მორინასი (ჟალგირისი), აურიმაშ კუეისი (დაუგავა, ლატვია), მანტას სავენასი (ეკრანასი), ვიტაუტას ლუკშა (ვილნიუსი), ტადაშ ლაბუკასი (ოცელული, რუმინეთი), დარიუს მიცეიკა (მეტალურგსი, ლატვია), გედიმინას ბუტრიავიჩიუსი (ვეტრა), არვიდას დერნასი (ვეტრა);*

*თავდამსხმელები: ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ანდრიუს ველიჩკა (ჰართსი, შოტლანდია), ედგარას იანკაუსკასი (აელ, კვიპროსი), ტომას რაძინავიჩიუსი (ბუდეიოვიცე, ჩეხეთი)*

ლიტველებს ორი წამყვანი ფეხბურთელი არ ჰყავთ სიაში: მოსკოვის ცსკა-ს დეივიდას შემბერისი და „ჰართსის" ნერიუშ ბარასა ტრავმირებულნი არიან.

**ილია ნანობაშვილი**

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**XV ტური**

სკანთორპი 2:3 სტოკი
ბრისტოლი 0:1 ჩარლტონი
ბარნლი 0:1 ჰალი
კარდიფი 1:1 კრ. პალასი
კოლჩესტერი 1:1 პლიმუთი
ნორვიჩი 1:3 უოტფორდი
პრესტონი 1:1 ლესტერი
შეფილდი 3:1 იფსვიჩი
საუთჰემპტონი 0:0 ვულვზი
ვესტ ბრომვიჩი 1:1 უენსდი
ქუინზ პარკი 1:2 ქოვენთრი

**პირველი ლიგა**
**XV ტური**

ბორნმუთი 1:3 ლიდსი
ბრაიტონი 1:1 უოლსოლი
ჩელტენემი 1:1 იოვილი
ჯილინგემი 1:1 დონკასტერი
ჰადერსფილდი 2:0 ჰარტლპული
ლუთონი 0:0 კარლაილი
მილუოლი 2:2 სუონსი
ნორთჰემპტონი 0:1 როვერსი
ნოტინგემი 4:1 საუთენდი
პორტ ვეილი 0:1 ქრიუ
სუინდონი 1:1 ლეიტონი
ტრანმერი 0:1 ოლდემი

**მეორე ლიგა**
**XV ტური**

დარლინგტონი 2:0 შრიუსბერი
ბარნეტი 1:1 ნოტსი
ბრედფორდი 2:1 ჩესტერი
ჰერეფორდი 2:1 მენსფილდი
ლინკოლნი 2:4 ჩესტერფილდი
მაკლსფილდი 1:0 ბრედფორდი
დონსი 2:0 შრიუსბერი
მორეკემბი 0:1 აკრინგტონი
პიტერბრო 3:1 დაგენემი
როჩდეილი 1:2 სტოკპორტი
როტერჰემი 2:1 ბერი

## შოტლანდია

**III დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

მონტროუზი 2:4 სტრანრარი

**ასოციაციის თასი**
**მეორე ეტაპი**
**გადათამაშება**

დამბარტონი 3:0 ფორფარი

## საფრანგეთი

**II დივიზიონი**
**XV ტური**

აიაჩო 2:3 ლიბურნი
ამიენი 1:1 ბასტია
ანჟერი 2:0 გენიონი
შატორუ 0:1 რეიმსი
მონპელიე 2:1 ბრესტი
ტრუა 3:0 დიჟონი
სედანი 2:1 ლე ავრი

## უნგრეთი

**თასის 1/16 ფინალი**
**I მატჩი**

დიოშდიორი 1:1 კაზინბარჩიკაი

## სლოვაკეთი

**თასის 1/4 ფინალი**
**I მატჩი**

ჟილინა 2:2 ნიტრა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩერნიგორიელის ჩერნი წაიშალა

## სპასოევიჩის დინამო-შანსი



თბილისის „დინამოს“ 20 წლის ჩერნიგორიელმა ლეგიონერმა ილია სპასოევიჩმა ამას წინათ „სარბიელთან“ ინტერვიუში თქვა, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი დუშკო ვლაისავლევიჩი ძველ წყენას ვერ ივიწყებს და ნაკრებშიც ამიტომ არ მეძახისო. როგორც მაშინ ილიამ გვითხრა, მამამისი ვლაისავლევიჩის ფეხბურთელობისას მისი მწვრთნელი იყო და ახალგაზრდულის ახლანდელ თავკაცს ძირითად შემადგენლობას არ აკარებდა. ამიტომაა, ახლა ვლაისავლევიჩი ილიას ნაკრებში რომ არ იწვევს.

სპასოევიჩმა ამ ამბებზე საუბრისას ისიც თქვა, რომ ჩერნიგორიულ პრესაში ჩემი ოჯახისა და ვლაისავლევიჩის ურთიერთობაზე ბევრს წერენ და მწვრთნელს ჩემ გამოძახებას ურჩევენო. ილიას სიტყვა ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ზორან ფილიპოვიჩმა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმაც შეაწიეს, მაგრამ აქამდე არაფერი იცვლებოდა — ვლაისავლევიჩი ჯიუტობდა.

ამ დღეებში კი თბილისის „დინამომ“ ჩერნიგორიიდან ფაქსი მიიღო — ილია სპასოევიჩი ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდში გამოიძახეს...

— ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელებს ჩემი ბოლოდროინდელი წარმატებები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და საშუალებას მაძლევენ, ქვეყნის ღირსება დავიცვა. ნაკრების მწვრთნელები საქართველოს ჩემპიონატს ყურადღებას არ აკლებენ და აგერ, შედეგიც. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა პირადი წყენა გვერდზე გადადო და ნაკრებში გამომიძახა. თუმცა ახლა ისიც კარგად მესმის, რომ რაც, შეიძლება, ეპატიოს ნაკრების სხვა ფეხბურთელს, ის მე არ მეპატიება. ამიტომაც გაათმაგებული ენერგიით უნდა მოვემზადო — გვითხრა გუშინ ილია სპასოევიჩმა.

ჩერნიგორიის ახალგაზრდული ნაკრები 16 ნოემბერს პოდგორიცაში ირლანდიას ეთამაშება...

**კობა ინასარიძე**



პირველლიგელი ჭიათურის „მაღაროელი“ ამ სეზონში ყოჩაღად თამაშობს. დასავლეთ ზონასაც დამაჯერებლად ლიდერობს, საქართველოს თასის ჯგუფურ ეტაპზე კი სამ თბილისურ გუნდს — „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „ლოკომოტივს“ ტოლს არ უდებს. გუშინწინ ჭიათურელებმა „ლოკომოტივი“ დედაქალაქშიც დაამარცხეს და თუ 27 ნოემბერს შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ არ წააგებენ, მეოთხედფინალშიც გავლენ. „მაღაროელის“ მთავარ მწვრთნელ ბადრი ბრეგვაძეს ჯერ გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე ვკითხეთ...

# ჩვენი ძალა ერთობაშია

## მაღაროელმა მაღლა აიხედა

— იდეალური პირობები ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა რასაც გვპირდება, ყველაფერს ასრულებს.

— პირველი ლიგის დასავლეთ ზონას ლიდერობთ და საქართველოს თასის ჯგუფურ ეტაპზეც წარმატებით გამოდიხართ. როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე ახერხებს „მაღაროელი“ ამას?

— სეზონის წინ ნორმალური ვარჯიშის საშუალება გვქონდა და ორი შეკრებაც გავიარეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. შეკრული გუნდი გვყავს, ფეხბურთელები ყველა მატჩში ბოლომდე იხარჯებიან და შედეგიც აქედან გვაქვს.

— ცხადია, „მაღაროელის“ მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლაა...

— რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა დასავლეთ ზონას ვლიდერობთ, წინ კიდევ ბევრი თამაში გვაქვს და თავს მოდუნების უფლება არ უნდა მივცეთ.

— საქართველოს თასის ჯგუფურ ეტაპზე ძლიერ ჯგუფში მოხვდით, თუმცა მეოთხედფინალში გასვლის სერიოზული შანსი გაქვთ...

— სანამ ჯგუფში მოვხვდებოდით, ბოლნისის „სიონიც“ დავამარცხეთ, მაგრამ მაინც არავის ეგონა, რომ ამ გუნდებს წინააღდეგობას გავუწევდით. უმაღლესი ლიგის გუნდთან სათამაშო დისციპლინა თუ დაარღვიე, აუცილებლად დაისჯები. ჩემი ფეხბურთელების შესაქებად მინდა ვთქვა, რომ თითქმის ყველა შეხვედრაში დავალებები კარგად შეასრულეს. ძალიან კარგი მატჩები ჩავატარეთ მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან“ და შინ „დინამოსთან“.

— ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობთ და მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც გაძლევთ ხელს...

— ამ მატჩს მთელი ჭიათურა ელის. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ქულაც გვყოფნის, ჩვენ მხოლოდ მოგებისთვის ვითამაშებთ.

— მომავალი წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან არც ერთი გუნდი აღარ დაფინანსდება და „მაღაროელს“ პატრონი სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმი“ ხომ არ გახდება?

— არა მგონია, „მაღაროელი“ უპატრონოდ დარჩეს, თუმც ამ ეტაპზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ, ვინ იქნება მომავალი წლიდან კლუბის პატრონი. ის კი ვიცი, რომ 2008 წელს სახელმწიფო თემურ მაღრაძის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქციას გვგავს

**ნუკრი ლოლაძე**

# დილას პრობლემა უკლასობაა

## მამუკა ვარდოსანიძეს დიქსი ჩუკვუ მან ურჩია, ვისაც ფეხბურთთან კავშირი არ აქვს



საქართველოს თასის მიმდინარე გათამაშების აღმოჩენად გორის „დილაც“ იქცა. ეროვნულ ჩემპიონატში გორელები 5 ქულით ბოლოსნინა, მე-13 ადგილზე არიან, თასზე კი პირველი გუნდია, რომელმაც მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა და ერთადერთია, ჯგუფურ ეტაპზე რომ ნაგების სიმწარე არ უწვნევია. ორი „დილა“ — თასზე და ჩემპიონატში — რა არის მიზეზი? ამის შესახებ გუნდის მთავარ მწვრთნელ მამუკა ვარდოსანიძეს ვესაუბრეთ, რომელმაც თვენახევრის წინ გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება დაწერა, თუმც ჯერაც „დილას“ მთავარი მწვრთნელია...

— რას იმის თვლით მიზეზად, რომ „დილა“ სხვადასხვა ტურნირებში აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად თამაშობს?

— მიზეზი ის არის, რომ გუნდი არ არის მაღალი კლასის — რამდენიმე მატჩს კარგად ითამაშებს, შემდეგ ჩავარდნა ეწყება და პირიქით. ვფიქრობ, ჩემპიონატში რამდენიმე შეხვედრაში არ გაგვიმართლა, სამაგიეროდ, თასზე პირიქით მოხდა და იღბალი უფრო ჩვენს მხარეს იყო.

— მიმდინარე სეზონში გუნდის ამოცანად რა რჩება?

— აქცენტი უფრო ჩემპიონატზე გვაქვს გადატანილი და პირველ რიგში უმაღლესში ადგილის შენარჩუნებას ვეცდებით.

— ადრე „სარბიელთან“ საუბრისას განაცხადეთ, რომ გუნდის დატოვება გსურდათ, ხელმძღვანელობამ კი ორი თამაშით დარჩენა გთხოვათ და ამის შემდეგ დაემშვიდობებოდით „დილას“. თუმც ისევ მთავარი მწვრთნელი ხართ. რა შეიცვალა ამ პერიოდში?

— ის, რომ იმავ ხელმძღვანელობამ გვთხოვა, პირველი წრე ჩაგვემთავრებინა. გუნდიდან ჩემი წასვლის მიზეზი ზემოთ ნახსენები დაბალი კლასის ბრალია. ასეთი გუნდით ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოგვიწევს. თავად ხელმძღვანელობამაც გაითავისა ეს პრობლემა და გვთხოვა. პირველი წრის შემდეგ კი სიტუაციის გამოსწორებას შეგვპირდა და ეს ძვრები უკვე დაიწყო — გუნდში უცხოელი ფეხბურთელი გამოჩნდა.

— ნიგერიელი დიქსი ჩუკვუ ბუვალდიეგვუ — რა აზრის ხართ მასზე და, როგორ ფიქრობთ, რამდენად წაადგება გორის „დილას“?

— ვარჯიშებზე კარგი ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებს. მან ჯერ მხოლოდ „კახეთთან“ ითამაშა და ასეთ გუნდთან ძნელია მისი პოტენციალის ბოლომდე შეფასება. რამდენად კარგი მოთამაშეა, ძლიერ გუნდებთან მატჩებისას უფრო გამოჩნდება.

— საიდან ან ვისი რეკომენდაციით მოვიდა გუნდში?

— ერთმა ჩემმა მეგობარმა მთხოვა, გამესინჯა. როგორც გითხარით, ვარჯიშებზე ნორმალურად გამოიყურება და გადავწყვიტეთ, დაგვეტოვებინა.

— და იმ მეგობრის ვინაობას არ ამხელთ?

— საქმე ისაა, რომ მას ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ აქვს, ამიტომ სჯობს, თავი შევიკავო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# როდის იფიქრებს მუჯირი წასვლაზე?

საქართველოს ნაკრებისა და სამარის „კრილია სოვეტოვის“ შემტევის, დავით მუჯირის თემა რუსი ჟურნალისტებისთვის ისევ აქტუალურია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისმა გოლმა „კრილიას“ პრემიერლიგაში დარჩენა დაუბევა...

აი, რას წერენ რუსები: „ამ სეზონში მუჯირი არასტაბილურობით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, ქართველი ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერც სერგეი ობორინის და ვერც ალექსანდრ ტარხანოვის დროს ვერ ხვდებოდა. ამის მიუხედავად, მუჯირი მაინც გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. მის ტალანტში ეჭვი არავის ეპარება, თუმცა...“

თავად მუჯირს სეზონის განმავლობაში კრიტიკაზე არ უპასუხია, „ლოკომოტივთან“ მატჩის შემდეგ კი, როცა გუნდს ელიტაში ადგილი გაუნაღდა, კრიტიკოსებს ეს უთხრა: „რატომღაც მთელი სეზონის განმავლობაში მე და მარკო ტოპიჩს გვაკრიტიკებდნენ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ყველაზე საჭირო მომენტებში გუნდი ჩვენ გადავარჩინეთ. ჩვენ „ლოკომოტივთან“ თამაშით ვუპასუხეთ კრიტიკოსებს. არავის გაუთვალისწინებია, რომ გუნდი არსებობისთვის იბრძოდა და ამ დროს მე და ტოპიჩმა 15 ბურთი გავიტანეთ (8 მუჯირმა, 7 ტოპიჩმა). მარკო გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია და ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ გაუგრძელეს მას კონტრაქტი“ — განაცხადა მუჯირმა.

ტოპიჩის კონტრაქტი ნაკლებად გვაღელვებს, თავად მუჯირს კი სამარელებთან კიდევ ერთწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს, თუმც იყო ლაპარაკი, რომ მუმუ „კრილიას“ მიმდინარე ჩემპიონატში დატოვებდა, მაგრამ მაინც დარჩა.

რა იქნება გაისად და სად ითამაშებს ჩვენებური, ამაზე მუჯირმა ორაზროვნად უპასუხა: „გუნდთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და იმედს ვიტოვებ, სამომავლოდ მეტი ამბიცია გვექნება. „კრილიაში“ სათამაშოდ ავსტრიიდან ჩამოვედი, რადგან ჩემმა ყოფილმა გუნდმა „შტურმმა“ ამბიცია დაკარგა, ბრძოლას შეეშვა არამარტო ჩემპიონატისთვის, არამედ საპრიზო ადგილებისთვისაც კი. სამარაში კი კარგ გუნდში ჩამოვედი და ვფიქრობდი, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას შევძლებდით. შარშანაც და წლეულსაც გუნდმა სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ პრობლემებმა იჩინა თავი. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა, ახლა მხარის გუბერნატორის მხარდაჭერაც გვაქვს. თუ ყველაფერი კარგად იქნა, წასვლაზე არც ვიფიქრებ“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლევან მჭედლიძეს იუვესთან აპირებდნენ



**ლევან მჭედლიძემ** 90 წუთი ითამაშა „ატალანტა“ — „ემპოლის“ ახალგაზრდული (PRIMAVERA) გუნდების მატჩში, სადაც ჩვენიანის გუნდმა 0:1 წააგო.

პატარა ემპოლელებს ორი გამოცდილი ფეხბურთელიც ჰყავდათ, ანუ სერია A-ში ხშირად რომ თამაშობენ ხოლმე: ლუიჯი იავოპინი და ბრაზილიელი ედერი.

როგორც შევიტყვეთ, „ემპოლის“ ძირითადი გუნდის თავკაცი ჯიჯი კანი ამასწინათ „იუვენტუსთან“ მატჩში 18-კაციან განაცხადში აპირებდა მჭედლიძის შეყვანას, თუმც ჩვენიანს მაშინ კუნთების მცირე პრობლემა ჰქონია...

**ილია ნანობაშვილი**

# ტექნიკა: სად ჩვენ და სად შოტლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუბინში ახალ ქართველებზე ლაპარაკობენ

21 ნოემბერს საქართველოს ნაკრები ევროშესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს ჩაატარებს — მეტოქე ის ლიტვაა, ვისთანაც მოგების შემთხვევაში, მეხუთე ადგილს დავიკავებთ, რაც რეიტინგშიც აგვწევს და ალბათ მუნდიალ 2010-ის კენჭისყრაზე ევროპულ ზონაში მეოთხე კალათაშიც ჩავჯდებით. „შოტლანდიასთან ლამაზი თამაშისა და მოგების შემდეგ, ლიტვასთან წაფორხილებას გულშემატკივრები არ გვაპატიებენ“ — გვითხრა ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ მცველმა ლაშა სალუქვაძემ, ვისაც გუშინ რუსეთში დავუკავშირდით და აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ...



— საერთო აზრით, საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიასთან ბოლო წლების საუკეთესო თამაში აჩვენა. ეთანხმები?

— უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. გულშემატკივრებს ბევრჯერ დავპირებივართ კარგ თამაშს და მოგებას, მაგრამ ხშირად ვაწბილებდით კიდეც. შოტლანდიასთან სტადიონი თითქმის სავსე იყო და ვფიქრობ, ხალხს ლამაზი თამაში ვაჩუქეთ. ფეხბურთელებიც და ქომაგებიც ამას მონატრებულნი ვიყავით.

— და რა მოხდება, ნაკრებმა სულ ასეთი განწყობით რომ ითამაშოს? ეს რატომ ვერ ხერხდება?

— როგორ გითხრათ, შოტლანდიასთან მატჩის წინ განსაკუთრებული და ახალი არაფერი მომხდარა. განწყობა ადრინდელივით გვქონდა. უბრალოდ, მეტოქეს ყველაფრით ვაჯობეთ, მათი თამაში არ ვათამაშეთ.

— „მათ თამაშში“ რას გულისხმობ?

— შოტლანდიას თუ სივრცე მიეცი და არბენინე, ცუდად წაგივა საქმე. საფრანგეთსაც კი მოუგეს ამით. კლაუს ტოპმიოლერმა სწორედ ეს გვითხრა, ფიზიკურად არ უნდა დაეჩაგვრინოთ, ბრძოლაში აჰყევითო. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო — ტექნიკით კი ნამდვილად ვჯობივართ შოტლანდიას. ერთიც, დაძაბულები არ უნდა ვყოფილიყავით. ალბათ, იმანაც იმოქმედა, რომ ჩვენ დასაკარგი არაფერი გვქონდა, შოტლანდიისთვის კი ეს მატჩი ბევრს ნიშნავდა.

— სქოთებთან სამმა ჭაბუკმა ფეხბურთელმა ითამაშა და ძალიან კარგადაც. როგორ ფიქრობ, მათზე მუდმივად დაყრდნობა მომგებიანი იქნება ნაკრებისთვის?

— მაკარიძე, ყენია და მჭედლიძე რომ ძალიან პერსპექტიულები არიან, ამას მტკიცება აღარც სჭირდება. თუმცა ერთი თამაშით ვერ იტყვი, რომ ისინი ნაკრებში ყველა მატჩს სტაბილურად ჩაატარებენ. ეს მწვრთნელმა უნდა განსაზღვროს.

— 17 და 21 ნოემბრის მატჩებისთვის ნაკრებში გამოძახების ფურცელი უკვე მოგივიდა?

— მოსკოვის „დინამოსთან“ მოგების შემდეგ ორი დღე დაგვასვენეს და ბაზაზე არ გავსულვარ. შეიძლება, მოსულია კიდეც, მაგრამ ჯერ არ ვიცი.

— ახლა „რუბინზეც“: რუსეთის პრემიერლიგის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა და მეცხრე ადგილზე ხართ. ალბათ, სეზონის წინ უკეთეს შედეგს გეგმავდით...

— კი ვგეგმავდით, მაგრამ რაღაცნაირად თამაში ვერ აგვეწყო. „რუბინი“ ამბიციური კლუბია და ყოველწლიურად, სულ მცირე, უეფას თასზე გასასვლელად იბრძვის.

— რუსულ პრესაში დაიწერა, სალუქვაძეს დეკემბერში კონტრაქტი უმთავრდება და არ არის გადაწყვეტილი, ახალს გააფორმებს თუ არაო...

— შეცდომით დაწერეს. კონტრაქტი გაისად დეკემბერში მიმთავრდება, თუმცა თუ უკეთესი გუნდისგან მივიღებ წინადადებას, შეიძლება, ამ ზამთარშიც წავიდე. ჯერჯერობით კი არავინ შემხმიანებია. ისე არ გამიგოთ, თითქოს ერთი სული მქონდეს, აქედან ავიბარგო — პირიქით, კმაყოფილი ვარ „რუბინში“, კარგი გუნდია, კარგი პირობებია...

— თანაც, ძირითადში თითქმის გარანტირებული გაქვს ადგილი...

— კონკურენცია საკმაოდ დიდია, მაგრამ თუ ტრავმა ან დისკვალიფიკაცია არ მაქვს, მუდმივად ძირითადში ვთამაშობ. ისე, გამოცდილი მცველები გვყავს: „გალათასარაიდან“ გადმოსული ხორვატი სტეპან ტომაში, ბრაზილიელი კალისტო და ჟანი, სხვებიც კარგი ბიჭები არიან.

— „რუბინში“ ახლა შენ და ნუკრი რევიშვილი ხართ, თუმც ადრე სხვა ქართველებსაც უთამაშიათ. რომელიმე ჩვენიანის დამატებას ხომ არ გეგმავენ ზამთარში?

— საერთოდ, ყაზანში იციან ქართული ფეხბურთის ფასი და არ დაგიმალავთ, იყო ლაპარაკი რამდენიმე ქართველის შეძენაზე. არ გამოვრიცხავ, ზამთარში მართლაც გადმოიყვანონ ვინმე.

— კონკრეტულად?

— ამ მომენტისთვის მართლა არ ვიცი, ვისზეა ლაპარაკი. უფრო ახალგაზრდების შეძენა სურდათ. იციან, რომ საქართველოში ბევრი ტალანტია. მეორე მხრივ, ჩვენი მწვრთნელი ისეთია, უფრო გამოცდილებს ეყრდნობა, ახალგაზრდებს კი, თუ ძალიან ძლიერები არ არიან, დუბლებში ათამაშებს ხოლმე.

**ილია ნანობაშვილი**

# გოოოოოოლ!

## თემური და მისი რაზმი

ჰკითხეთ ნებისმიერ ფეხბურთელს, მეტოქის კარში ბურთის შეგდებას ამქვეყნიურ სიხარულთაგან ბევრი ვერ შეედრება — წერდა გუშინ გაზეთი „სანი“ და დასძენდა — მაგრამ ადრენალინის მოჭარბებამ და ხალხის ყიჟინამ გოლის ავტორის, შესაძლოა, ფრიად სასაცილო რამაც გააკეთებინოს.

ჰოდა, ამ ინგლისურმა ტაბლოიდმა, ნაირნაირ ზეიმთა გახსენებაზე გადაწყვიტა, ფეხბურთის ისტორიაში ათი ყველაზე „თავისებური სიხარულის“ ჩამონათვალი შეეთავაზებინა მკითხველისთვის. გაზეთმა ჩამოთვლა ბოლოდან დაიწყო...

### 10. ფაკუნდო სავა

გახსოვთ სავა? — კითხულობს „სანი“ — ის იყო „ფულემის“ არგენტინელი თავდამსხმელი, რომელმაც ლონდონურ კლუბში გატარებული ორი წლის განმავლობაში სულ ექვსი გოლი გაიტანა და თითოეული მათგანი ზოროს ნიღბის ჩამოცმით აღნიშნა.

### 9. თემურ ქეცბაია

„ნიუკასლ იუნაიტედის“ ფორვარდმა თემურ ქეცბაიამ 1999 წელს „ბოლტონის“ კარში გატანილი გოლი ისე აღნიშნა, რომ ქომაგი შეცბა. მან მაისურა გაიხადა, სარეკლამო დაფას მივარდა და... სცემა.

### 8. როჟე მილა

როგორ შეიძლება ვეტერანი კამერუნელი ფორვარდის დავიწყება. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ის 38 წლისა გახლდათ. სწორედ მისმა ოთხმა გოლმა გაიყვანა ეს აფრიკული ქვეყნის ნაკრები ჯგუფიდან და ოთხივე კუთხურის ალამთან მირბენითა და თეძოების ცეკვით აღნიშნა. ეს ლეგენდის ნაწილია.

### 7. იურგენ კლინსმანი

გერმანელი ვარსკვლავი ინგლისში თაღლითური წაქცევის დიდოსტატის სახელით ჩავიდა და პირველსავე თამაშში ასე მოქცა: „ტოტენჰემისა“ და „შეფილდ უენსდეის“ შეხვედრაში საუცხოო თავური შეაგდო, რის შემდეგაც „სფურზის“ ფანებთან მიირბინა და სიმბოლურად გაწვა.

### 6. პიტერ კრაუჩი

„ლივერპულის“ აყლაყუდა თავდამსხმელმა ზეიმის ორიგინალური მეთოდით პირველად მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის წინ მიიპყრო ყურადღება. კრაუჩმა უნგრეთისა და იამაიკის ნაკრებებთან შეხვედრებში რობოტის ცეკვა გამართა, რაც ხალხს ფრიადაც მოეწონა, მაგრამ ეს გართობა აღარ გაგრძელებულა — ფორვარდმა მალევე თქვა, რომ ამგვარ ზეიმს ამიერიდან მხოლოდ მაშინ მოაწყობს, როდესაც ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. ველოდებით...

### 5. კრეიგ ბელამი

ბელამი ბევრს არ უყვარს, მაგრამ იუმორის გრძნობა რომ აქვს, ამას მისი მოძულენიც ვერ უარყოფენ: გასულ სეზონში, „ლივერპულისა“ და „ბარსელონას“ შეხვედრის წინ პრესამ დაწერა, რომ ბელამიმ გოლფკლუბში თანაგუნდელი იონ არნე რიისე გალახა. ამის შემდეგ ტოტალიზატორები ფსონს ჩამოვიდნენ, რომ კატალონიელთა კარში გოლის შეგდების შემთხვევაში ბელამი მეგოლფის მოძრაობას, ბურთის ყვანჯით დარტყმას განასახიერებდა და ისე ყველაფერი აგიხდეთ.

### 4. სტიუარტ პირსი

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პენალტის აცილების გამო ხალხი დიდხანს აკრიტიკებდა თავიანთი ნაკრების მცველს, მაგრამ ამან ის ვერ გატეხა. გავიდა 6 წელიწადი, დადგა 1996 და პირსმა ევროპის ჩემპიონატზე კვლავ იკისრა პენალტის დარტყმა. ამჯერად გაიტანა. მისი ზედმეტად ემოციური ზეიმიც ექვსწლიანი ბოღმის ამონთხევა გახლდათ.

### 3. მარკო ტარდელი

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გოლის გატანამ ადამიანი, შესაძლოა, იტალიელი ტარდელივით გააგიჟოს — 1982 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების კარში გატანილი გოლის შემდეგ მსოფლიომ სრულიად ლეგენდარული გამორბენი და სახის გამომეტყველება მიიღო საჩუქრად.

### 2. ერიკ კანტონა

1996-97 წლების სეზონი იდგა, როდესაც ერიკ კანტონამ „სანდერლენდის“ კარში ბურთი ტექნიკურად ჩააგდო. საბოლოო დარტყმამდე ფრანგმა ფორვარდმა სამი კაცი მოატყუა, შემდეგ ბურთი პარტნიორს გაუთამაშა და საჯარიმოს კიდიდან გოლი შეაგდო. დასამახსოვრებელი იყო ისიც, თუ რა მოხდა შემდეგ: კანტონა, უბრალოდ, გაჩერდა, დამგემოვნებელი კაცის პოზა მიიღო და საკუთარი შემოქმედების წამით დატკბა.

### 1. პოლ გესკოინი

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ ინგლისის ნაკრები ჰონკონგში წავიდა სავაჯიშოდ. გუნდს, ბუნებრივია, პაპარაცებიც გაედევნენ და ერთმა მათგანმა მთვრალ და კბილის ექიმის სავარძელში გადაწოლილ გესკოინსა და ტედი შერინგემს სურათი გადაუღო.

აი, შემდეგ, როდესაც ევროპის პირველობაზე, შოტლანდიასთან შეხვედრაში გაზამ „ის“, დიდებული გოლი გაიტანა, ზეიმის ფორმას დიდი გამოგონება აღარ სჭირდებოდა.

**პაპუნა ქედია**






























ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT
VEGA SLOT POKER CLUB

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური. დღეს


ლეო მესი და რონალდინიო
AFP

# მესის მესმის

E ჯგუფი

**ბარსელონა — რეინჯერსი**
**ლიონი — შტუტგარტი**

**ტიერი ანრის** მიაჩნია, რომ „ბარსელონა" „რეინჯერსს" მოუგებს და მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს.

ორი კვირის წინ გლაზგოში სტუმრების დიდი უპირატესობის მიუხედავად, მატჩი უგოლოდ დასრულდა. ანრი თანაგუნდელებს მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებს, რათა ისევე არ გაანიავონ შანსები, როგორც შოტლანდიაში: „ვიმედოვნებ, რომ „კამპ ნოუზე" უკეთეს შედეგს მივაღწევთ. „ბარსა" ისე ითამაშებს, როგორც გლაზგოში. იქ ყველაფერს თითქოს კარგად ვაკეთებდით, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. დარწმუნებული ვარ, მომენტები კვლავაც ბლომად გვექნება, ოღონდ ამჯერად მათი გამოყენება გვმართებს, რათა მერვედფინალისკენ ნაბიჯი გადავდგათ".

შოტლანდიის ნაკრებმა საფრანგეთს ორჯერ მოუგო, ხოლო „რეინჯერსმა" სტუმრად „ლიონი" 3:0 გაანადგურა. ამის თაობაზე ანრიმ თქვა: „ჩემთვის მოულოდნელი იყო „რეინჯერსისგან" „ლიონის" ასე იოლად ძლევა, რადგან „ჟერლანზე" თავად მითამაშია და ვიცი, რაოდენ რთულია იქ მოგება. ეს გუნდი ზედიზედ ექვსჯერ გაჩემპიონდა საფრანგეთში და მიუხედავად იმისა, რომ ორი-სამი ძლიერი ფეხბურთელი გაყიდა, გლაზგოელების გამარჯვება მაინც გამიკვირდა. „სელტიკმაც" აჯობა „მილანს" და შოტლანდიის ნაკრებმაც ფრანგებს ორჯერ მოუგო. ასე რომ, სქოთებს კარგი პერიოდი უდგათ".

რაც შეეხება ანრის შეგუებას „ბარსას" სათამაშო ყაიდასთან: „ხან მარჯვენა ფლანგზე ვარ, ხან მარცხენაზე და ზოგჯერ შუაშიც და ამიტომ ცოტა გამიჭირდა შეჩვევა, მაგრამ ასეთ გუნდში სხვანაირად ვერც იქნები".

„ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგაში ორივე საშინაო მატჩში იმარჯვა და ჩავი ერნანდესმა განაცხადა: „კამპ ნოუზე" თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ, ალბათ იმიტომ, რომ 98 ათასი კაცი გვქომაგობს".

იაია ტურე: „რეინჯერსთან" თამაში ფიზიკურად მძიმეა და დამღლელი, მაგრამ ეს კარგად ვიცით და საამისოდ მზად ვართ. ჩვენ უნდა ვაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია, მოვიგოთ, სამი ქულა ავიღოთ და მერვედფინალში გავიდეთ".

გლაზგოური მატჩის შემდეგ ლიონელ მესიმ „რეინჯერსის" თამაშს ანტიფეხბურთი უწოდა, რაზეც „ჩაფართა" მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა უპასუხა: „ძალიან კარგი, თუ ეს ბიჭი ასე ფიქრობს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას გავაგრძელებთ და ქულების დაგროვებას შევეცდებით. „ბარსას" თავისი სათამაშო ყაიდა აქვს, ისევე, როგორც ნებისმიერ გუნდს და მესის წყენაც მესმის, რადგან მათ მსოფლიოში საუკეთესო შემტევები ჰყავთ და ყველა მატჩის მოგება სურთ".

ფრანკ რაიკარდი დღეს ალბათ იმავე შემადგენლობას გაიყვანს მოედანზე, რომლითაც კვირას „ბეტისს" 3:0 მოუგო. პირველი გოლი ტიერი ანრიმ შეაგდო, რონალდინიომ კი საჯარიმოებით დუბლი შეასრულა. შესაძლოა, ჯანლუკა ძამბროტა ვერ დაეხმაროს გუნდს, რადგან მარცხენა ფეხი სტკივა. მის ნაცვლად, ალბათ, რაფა მარკესი ან ოლეგერ არერასი ითამაშებს.

„რეინჯერსმა" შაბათს შინ „ინვერნესი" დაამარცხა ბოიდის და კუელიარის გოლებით.

„ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ იბრაჰიმ ჰემდანიმ ითამაშა — თქვა უოლტერ სმიტმა — ახლა ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და ბარსელონაში იმედიანად ჩავალთ".

ჰემდანიმ „ბარსასთან" პირველი მატჩი გამოტოვა ამ ტრავმის გამო, დღეს კი დისკვალიფიცირებული კევინ ტომსონის ნაცვლად ითამაშებს.

ჯგუფში სამივე თამაშის წამგები „შტუტგარტი" ლიონს ესტუმრება. ფრანგებმა ორი კვირის წინ გერმანიის ჩემპიონს სტუმრად 2:0 მოუგეს და დღესაც თუ იმარჯვეს, ჯგუფიდან გასვლის შანსს გაიუმჯობესებენ.

„ლიონმა" ჩემპიონატში „ვალანსიენი" დაამარცხა (2:0) ჟუნინიოს და გოვუს გოლებით, ხოლო „შტუტგარტმა" ბუნდესლიგაში სტუმრად „ნიურნბერგს" 1:0 სძლია.

„ლიონის" მწვრთნელმა ალენ პერენმა განაცხადა: „ეს იყო კარგი რეპეტიცია „შტუტგარტთან" მატჩის წინ. პირველი გოლის მერე თავი შევინახეთ, რადგან ოთხშაბათს უფრო მძიმე თამაში გველის და ვიმედოვნებ, რომ ბიჭებს დაღლა არ დაეტყობათ".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

# ლუჟნი შერცხვენას სულაც არ აპირებს

F ჯგუფი

**მანჩესტერი — დინამო**
**სპორტინგი — რომა**

**„მთავარია,** არ შევრცხვეთ — თქვა კიევის „დინამოს" დროებითმა მწვრთნელმა, 39 წლის ოლეგ ლუჟნიმ „მანჩესტერთან" მატჩის წინ — შევეცდები მაქსიმალურად მებრძოლი შემადგენლობის შერჩევას და ფეხბურთელებისთვის იმის ახსნას, რომელ ეპიზოდში როგორ უნდა მოიქცნენ. ჩვენ გვყავს მწვრთნელთა საბჭო და ამ საკითხზე ვმუშაობთ. მე, ლიტოვჩენკო, რაცი და ვიქტორ ჩანოვი სასტარტო თერთმეტეულს თამაშის დღეს დავადგენთ. ტაქტიკა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელების ფსიქოლოგიური განწყობა მაღელვებს. მათ მანჩესტერში ხასიათის გამოვლენა მართებთ. უნდა გავიდნენ მოედანზე და არ შერცხვნენ. აჩვენონ, რომ კიევის „დინამო", ანუ მისი თითოეული ფეხბურთელი ამ ტურნირში მონაწილეობის ღირსია".

კიევის „დინამოს" დღეს მანჩესტერში ოლეგ ლუჟნი უთავკაცებს, ლონდონის „არსენალის" ყოფილი ფეხბურთელი. მან გუნდი დროებით ჩაიბარა იოჟეფ საბოსგან, რომელიც გულმა შეაწუხა და მკურნალობა სჭირდება.

„დინამომ" უკრაინის ჩემპიონატში წინა ტურში შინ ხარკოვის „მეტალისტთან" 0:1 წააგო.

დინამოელთა პრეზიდენტმა იგორ სურკისმა განაცხადა: „ჩვენ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას ველით და გუნდში დიდი ცვლილებები მოხდება".

ამასობაში კი „მანჩესტერი" საუცხოო ფორმაშია — პრემიერლიგაში ზედიზედ რვა მოგების შემდეგ „არსენალს" 2:2 დაუზავდა, მაგრამ გუნდი უტევს და გოლები გააქვს.

ორი კვირის წინ „მანჩესტერმა" კიევში 4:2 მოიგო და ალექს ფერგიუსონის გუნდთან „დინამოს" დღესაც გაუჭირდება — უკრაინელებს როდრიგო, კლებერი და მიხალიკი დააკლდებათ, რებროვი კი მომჯობინდა და, შესაძლოა, ითამაშოს.

ექვსქულიანი „რომა" სამქულიან „სპორტინგს" ესტუმრება, რომელსაც ორი კვირის წინ 2:1 მოუგო. იტალიელებს კვლავ დააკლდებათ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, რომელმაც სწორედ „სპორტინგთან" მატჩში მიიღო ტრავმა, მაგრამ დავიდ პიზაროს აზრით, მის გუნდს გამარჯვება და მერვედფინალში გასვლა შეუძლია.

„რომა" გასულ კვირას „ემპოლის" სტუმრად 2:0-ს უგებდა, თუმც ორი გოლი გაუშვა და ქულას დასჯერდა, პიზარომ კი თქვა: „ლისაბონში ოპტიმისტურად მივდივართ. მძიმე მატჩი გველის, მაგრამ საამისოდ მზად ვართ".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |


მანჩესტერელები: ნანი და უეინ რუნი
AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური. დღეს



AFP ესტებან კამბიასო და ოლივიე დაკური ცსკა-ს ელიან



ვალერი გაზაევი

# ეს საინტერესო არ არის

**G ჯგუფი**

**ფენერბაჰჩე — პსვ**

**ინტერი — ცსკა**

„**ინტერი**“, რომელიც კვირას „იუვენტუსს“ 1:0-ს უგებდა და გაუთანაბრეს, დღეს ცსკა-ს უმასპინძლებს, ვისთანაც ორი კვირის წინ 0:1-ს აგებდა, მაგრამ ორი გაუტანა და მოუგო.

ჩემპიონთა ლიგაში სამი ტური მიილია და ცსკა-ს მხოლოდ ერთი ქულა აქვს, რის გამოც ვალერი გაზაევს მოხსნას უპირებდნენ. რუსული მედიის ცნობით, გაზაევის ნაცვლად ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ კარლოს დუნგას დანიშვნა სურდათ, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა და გუნდს კვლავაც ძველი კაცი გაუძღვება.

გასულ უქმეებზე ცსკა-მ სტუმრად კრასნოდარის „ყუბანს“ 1:0 მოუგო ევგენი ალდონინის გოლით, გაზაევმა კი თქვა: „გამარჯვებით გახარებული ვარ. ძალიან ცუდ მოედანზე ვითამაშეთ, ბევრი მომენტი შევქმენით და მოვიგეთ“.

მილანში ცსკა სერგეი იგნაშევიჩის გარეშე ჩავა, რადგან კაპიტანი ტრავმირებულია. სამქლავურს ვასილი ბერეზუცკი მოირგებს.

„კაპიტანი მე ვიქნები, რადგან მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა — თქვა ვასილი ბერეზუცკიმ — მილანში მოგებას შევეცდებით, რადგან სტუმრად სამი ქულა და მომდევნო მატჩში შინ მოგება მერვედფინალისკენ გზას გაგვიხსნის. ჯგუფში მესამე ადგილი და უეფას თასზე თამაში ჩვენთვის საინტერესო აღარაა. ჩემთვის სულ ერთია, სად ვითამაშებთ, „სან სიროზე“, „დინამოს“ სტადიონზე, თუ ეზოს მოედანზე. მთავარია მოგება“.

სერია A-ს ლიდერ „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ კი განაცხადა, რომ ადრიანოსთან კონფლიქტი მოგონილია. ბრაზილიელმა ფორვარდმა, როგორც ამბობენ, გუშინწინ ვარჯიში იუარა, მაგრამ მწვრთნელმა თქვა: „პრობლემა მოგვარებულია. ადრიანომ გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ის, რომ ბრაზილიელი ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდეს“.

„ინტერს“ ცსკა-სთან შეხვედრაში ლუიშ ფიგუ ვერ დაეხმარება, რომელიც „იუვესთან“ მატჩში პაველ ნედვედთან შეჯახების შედეგად დაზარალდა და სამი კვირა მკურნალობა მოუწევს.

ჯგუფში დაუმარცხებელი „ფენერბაჰჩე“ პსვ-ს უმასპინძლებს, ვისაც ორი კვირის წინ სტუმრად უგოლოდ დაუზავდა.

ეინდჰოვენელებმა სეზონში პირველი მატჩი წააგეს რონალდ კუმანის წასვლის შემდეგ — „ჰერენვენთან“ 1:2 დამარცხდნენ, ხოლო „ფენერმა“ სტამბოლურ დერბიში „ბეშიქთაშს“ 2:1 მოუგო.

„ფენერის“ მწვრთნელმა ზიკომ განაცხადა: „მართალია, მესამე წუთზე გაგვიტანეს, მაგრამ გუნდმა იბრძოლა და თამაშის შემობრუნება შეძლო“.

ხოლო პსვ-ს ახალმა მწვრთნელმა იან ვოუტერსმა, რომელიც რონალდ კუმანის გუნდიდან წასვლის შემდეგ დანიშნეს, თქვა: „ვფიქრობ, რომ მატჩი კარგად დავიწყეთ, რამდენიმე კარგი შეტევაც გვქონდა, მაგრამ დავმარცხდით. ჩემი აზრით, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |

# შვიდი გოლის პასუხი

**H ჯგუფი**

**სლავია — არსენალი**

**სტიაუა — სევილია**

„**არსენალის**“ მწვრთნელ არსენ ვენგერის აზრით, „სლავიასთან“ მატჩი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ პრაღაში სტუმართა გამარჯვების შემთხვევაში „მეთოფეები“ მერვედფინალის საგზურს ჩაიჯიბავენ. მათ ჯგუფში სამივე შეხვედრა მოიგეს და ცხრა ქულას სამსაც თუ მიუმატებენ, მიზანს ვადაზე ადრე მიაღწევენ. მაგრამ „სლავია“ ის გუნდია, რომელმაც ორი კვირის წინ ლონდონში 0:7 წააგო და, ცხადია, შელახული ღირსების აღდგენას შეეცდება. ამიტომაც ფიქრობს მწვრთნელი, რომ პრაღაში მძიმე მატჩი ელით.

„არსენალს“ უკვე 25 მატჩია, არ წაუგია და ამ სერიის შეწყვეტას არც აპირებს. მით უმეტეს, რომ „სლავიაზე“ გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან, „ლივერპულთან“ და „მანჩესტერთან“ ფრეებს მიაღწია. „მეთოფეებს“ ერთ კვირაში მოუწია ამ გუნდებთან შეხვედრამ. თან ორივესთან აგებდნენ, მაგრამ ფრეს მიაღწიეს.

„ჩემი აზრით, „სლავიასთან“ 7:0 მოგებული თამაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ სეზონში — თქვა ვენგერმა — ყოველი გოლი ბრწყინვალე კომბინაციების შედეგად გავიდა. უეჭველია, რომ „სლავიას“ ასეთი წაგების შემდეგ რევანში სწყურია, მაგრამ ჩვენ კვლავაც ყურადღებით ვიქნებით და მაქსიმალურად მობილიზებულნი ვითამაშებთ. მერვედფინალში გასვლის შანსი გვაქვს და მოგება გვსურს“.

გასულ შაბათს „არსენალმა“ შინ „მანჩესტერთან“ 2:2 ითამაშა. გოლები სესკ ფაბრეგასმა და უილიამ გალასმა გაიტანეს, ფორვარდი ემანუელ ადებაიორი კი ჩრდილში იყო, მაგრამ ვენგერმა აღნიშნა: „მანჩესტერთან“ მატჩში ადებაიორი თითქოს გუნდს იყო მოწყვეტილი. შეიძლება, უოლკოტი ან ედუარდო უნდა შემეშვა მოედანზე თავიდანვე, მაგრამ მე ჩემებურად ვუყურებ ფეხბურთს. რობინ ვან პერსი ტრავმის გამო გვაკლია და დიდი არჩევანი არ მაქვს“.

ფრანგი მწვრთნელის საფიქრალია ორი მეკარის ამბავიც. მანუელ ალმუნიამ ძირითადი შემადგენლობიდან იენს ლემანი ამოაგდო, რამაც გერმანელი გააბრაზა, მაგრამ ვენგერმა თქვა: „მე მჯერა, რომ ერთი მეკარე უნდა აირჩიო და მას ენდო. ვერ ეტყვი მათ: ჩემთვის მნიშვნელოვანი არაა, რამდენჯერ შეცდით. ორივეს გენდობით და ორ-ორ მატჩში შანსს მოგცემთ“.

„სლავიას“ მთავარმეგოლე სტანისლავ ვლჩეკი ტრავმირებულია და გუნდს დღეს ვერ დაეხმარება, ისევე, როგორც „არსენალის“ მეგოლე რობინ ვან პერსი.

„სლავიამ“ ჩემპიონატში „ტეპლიცეს“ 1:0 მოუგო ვოლეშაკის გოლით, მწვრთნელმა კარელ იაროლიმმა თქვა: „კმაყოფილი ვარ, რადგან ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ჩემპიონატში. რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელი ვათამაშე და მათ იმედები გაამართლეს.“

სამივე თამაშის წამგები „სტიაუა“ „სევილიას“ უმასპინძლებს, რომელმაც შაბათს „რეალი“ 2:0 დაამარცხა კეიტას და ფაბიანოს გოლებით. „სტიაუამ“ ჩემპიონატში სტუმრად „პოლიტეხნიკას“ 2:0 სძლია, გოლები რუსიჩმა და მანსურმა გაიტანეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:0 | 9 |
| სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:12 | 3 |
| სტიაუა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |



სევილიელი ფრედერიკ კანუტე სიცივემ შეაშინა

# გაანადგურეთ ჰოლივუდი!



**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელი სტივ მაკლარენი კვლავ დევიდ ბექჰემის „ძიებაშია" — შაბათს, პრემიერლიგის უდიდესი მატჩის, „არსენალი" — „მანჩესტერ იუნაიტედის" ხილვის ნაცვლად მაკლარენი ამერიკაში, ლოს ანჯელესში გაფრინდა, რათა ნაკრების ყოფილ კაპიტანს შეხვედროდა — ბექჰემი ჰოლივუდის ვარსკვლავების წინააღმდეგ ბურთაობდა.

ბუნებრივია, მსახიობებთან მოღლაბუცე ფეხბურთელის ნახვა მაკლარენს ვერაფერს მისცემდა და, როგორც ამბობენ, მწვრთნელი ვეტერანის ამ თამაშს არც კი დასწრებია — თუმცა იმასაც წერენ, რომ ბექჰემმა, რომელიც ერთთავად ტრავმებს უჩივის, ამ ღლაბუცში 83-წუთიანი მონაწილეობა მიიღო.

მოგვიანებით „ლოს ანჯელეს გალაქსის" ნახევარმცველმა თქვა: „სტივ მაკლარენი ამ თამაშზე არ მოსულა, მაგრამ შაბათს მე მას შევხვდი."

შაბათს მაკლარენი ბექჰემის ვარჯიშს დაესწრო, სულ კი ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე სამი დღე დაჰყო. ახლა მას გადასაწყვეტი აქვს, გამოიძახოს ყოფილი კაპიტანი ავსტრიასთან ამხანაგური და ხორვატიასთან საბედისწერო მატჩისთვის თუ არა.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს, რომ მაკლარენის, იგივე „მიკი მაუსის" სამდღიანი ამერიკული ვოიაჟი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დააფინანსა და მილიონებს ამავე ორგანიზაციის შეფი ბრაიან ბერვიკი უჭერდა მხარს.

ისევ ბექჰემი: „ასი პროცენტით თუ არა, 95 პროცენტით მაინც უნდა ვიყო მზად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინგლისის ნაკრებს ჩემს თავს ვერ ვაკადრებ. ისე კი, ჰოლივუდის ვარსკვლავებთან თამაშისას ტრავმას არ შევუწუხებივარ."

„ლოს ანჯელეს გალაქსისა" და ვარსკვლავების მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხბურთელების გამარჯვებით დასრულდა — 12:4. ვარსკვლავთა გუნდში თამაშობდნენ როკ ჯგუფ „დეფ ლეპარდის" გიტარისტი ვივ კემპბელი და 48 წლის მეკარე ენტონი ლაპალია თავისი ხელოვნული ნეკნით.

**ბაჩუნა ძიდია**

# დამანახეთ მეტი ინგლისელი!



**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა კვლავ შეუტია „არსენალის" თავკაც არსენ ვენგერს. მოგეხსენებათ, წინა შაბათს ამ გუნდებს შორის დიდი პრემიერლიგური მატჩი გაიმართა, რომელიც 2:2 დასრულდა.

ამჯერად შეტევის მიზეზი „მეთოფეთა" შორის ინგლისელი ფეხბურთელების სიმცირე გახლდათ — შოტლანდიელ ფერგიუსონს მოსწონს ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის მოთხოვნა მეტი ეროვნულობისკენ.

„ეს „არსენალის" ტიპის გუნდისთვის დიდი პრობლემა იქნება — განაცხადა ინგლისის ჩემპიონთა თავკაცმა, რომელსაც გუშინ „იუნაიტედში" მუშაობის 21 წელი შეუსრულდა — სწორედ ამიტომ აპროტესტებენ ასე ხმამაღლა ამ კლუბის შეფები ბლატერის მოთხოვნას. რაა გასაკვირი, მათ საკუთარი თავის დაცვა სურთ. ამაში ცუდიც არაფერია, თუმცა ინგლისური ფეხბურთის მომავლისთვის, ბუნებრივია, ყოველ კლუბში მეტი ინგლისელი ფეხბურთელის თამაში აჯობებს."

ფერგიუსონს „მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში ექვსი ინგლისელი ჰყავს — პრემიერლიგის ოთხი დიდი კლუბიდან ამდენით სხვა ვერ დაიკვეხნის — „არსენალში" კი მხოლოდ თეო უოლკოტია ადგილობრივი.

ფერგიმ დასძინა: „ვფიქრობ, უცხოელთა და ადგილობრივთა პროპორციის დაწესება ურიგო იდეა არ უნდა იყოს."

**ბაჩუნა ძიდია**

# ანდრეის ძე ანდრეი

**„ლივერპულის"** და უკრაინის ნაკრების ფორვარდ ანდრეი ვორონინს ვაჟი შეეძინა.

„მე და ჩემმა ცოლმა ვიცოდით, რომ ბიჭი იქნებოდა. ნიკიტას დარქმევა გვსურდა, მაგრამ პატარას რომ დავხედეთ, ვთქვით — ზედგამოჭრილი ანდრეია! და მაშინ დავფიქრდით. იულიას ეს სახელი მოსწონს, მეც, რა თქმა უნდა, რადგან თვითონ ანდრეი ვარ! — განაცხადა ვორონინმა — გვეყოლება ანდრეი-უმცროსი, მაგრამ სანამ სახელს საბოლოოდ დავარქმევთ, კიდევ ვიფიქრებთ".

შვილის დაბადების გამო ანდრეი ვორონინმა პრემიერლიგის მატჩი გამოტოვა.

**გასულმა** ტურმა გვარიანი მოულოდნელობები დაიტია. თუკი „ვითა" აუტსაიდერისგან შერცხვენას ბეწვზე გადაურჩა, „ავიამშენმა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან ვერაფერი გააწყო და სეზონის ყველაზე ხმაურიანი შედეგიც დაფიქსირდა.

თსუ-მ სწრაფი და აზრიანი კალათბურთი ითამაშა. სტუდენტებს მიხეილ ფანჩულიძემ ულიდერა, რომელიც დამსახურებულად გახდა ტურის საუკეთესო მოთამაშე. ფანჩულიძემ 32 ქულას მოუყარა თავი და მერე რა, რომ სხვა მაჩვენებლებში შთამბეჭდავი სტატისტიკა არ ჰქონია. მიშამ 12 საშუალო სროლიდან 7 ჩააგდო, 5 სამქულიანიდან 3 გამოიყენა და 14 საჯარიმო ცდიდან 9 მოათავსა „ავიამშენის" კალათში.

და მაინც ჟურნალისტებზე უმთავრესი ეფექტი მატჩის შედეგმა იქონია. თსუ-ს რომ „ავიამშენი" არ დაემარცხებინა, ფანჩულიძე ალბათ ვერ გახდებოდა მეღიელთა რჩეული. საუკეთესოობის კიდევ ერთი კანდიდატი იყო „ენერჯი-ინვესტის" ამერიკელი უკანახაზელი ბელტონ რივერსი, რომელსაც ჟურნალისტებისგან მე-2 ტურში ერგო ეს ჯილდო.

რივერსის სტატისტიკა გასულ ტურში ყველაზე შთამბეჭდავი იყო: 30 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი და 4 ჩაჭრა. ხელმარჯვე ბელტონი თავს არ იკლავდა და ასე შეაგროვა ეს მაჩვენებლები — „მაკაბის" დასამარცხებლად ესეც საკმარისი იყო.

გამოსარჩევია თსუ-ელი უკანახაზელის, მიხეილ ჩიტაშვილის დაცვაში ყოჩაღობა — მისი 7 ჩაჭრა უმეტესია მიმდინარე ჩემპიონატში.

ყველაზე მეტი მოხსნა გიორგი შერმადინის ანგარიშზეა, რომელიც უკვე მესამე ტურია, ამ მაჩვენებელში საუკეთესოა, თუმც შერმადინზე არანაკლები ფხა ფარქვეშ თსუ-ს ცენტრმა გამოიჩინა — რიჩარდ მათიაშვილმა 17 ბურთი მოხსნა.

მესამე ტურში დაფიქსირდა მე-17 ჩემპიონატის პირველი ოვერტაიმი. „დინამომ" ყველასათვის მოულოდნელად დიდი ბრძოლა გაუმართა „ავიამშენს". ძირითადი დრო 65:65 დამთავრდა და ფავორიტმა მხოლოდ დამატებითში იმარჯვა 3 ქულით.

სხვათა შორის, ეს არის ყველაზე მწირქულიანი ოვერტაიმიანი მატჩი უახლოესი წლების ჩემპიონატებში. ძირითადი დრო 54:54 (!) დამთავრდა, ექსტრახუთწუთეულში კი გუნდებმა 65:62 გამოაცხვეს.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერჯი-ინვესტი | 3 | 3 | 0 | +68 | 6 |
| ვითა | 3 | 2 | 1 | -3 | 5 |
| თსუ | 3 | 2 | 1 | -12 | 5 |
| თბილავიამშენი | 3 | 1 | 2 | +32 | 4 |
| მაკაბი | 3 | 1 | 2 | -5 | 4 |
| დინამო | 3 | 0 | 3 | -60 | 3 |

### ტურის ლიდერები

| ქულა | |
|---|---|
| 1. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 32 |
| 2. ბელტონ რივერსი (ენერჯი) | 30 |
| 3. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 25 |
| 4. იოვან სტეფანოვი (ენერჯი) | 23 |
| 4. ლაშა გამყრელიძე (ენერჯი) | 23 |
| 6. ვაკო ბეჟანიშვილი (ვითა) | 20 |
| 7. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 19 |
| 7. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) | 19 |
| 9. სოსო შერმადინი (მაკაბი) | 18 |
| 9. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 18 |

| მოხსნა | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 18 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 17 |
| 3. ზვიად ბაბიაშვილი (ენერჯი) | 11 |
| 3. ანატოლი ბოისა (ენერჯი) | 11 |
| 3. ლექსო ლაფანაშვილი (დინ.) | 11 |
| 6. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 8 |
| 6. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 8 |
| 6. იოვან სტეფანოვი (ენერჯი) | 8 |
| 6. სოსო შერმადინი (მაკაბი) | 8 |

| პასი | |
|---|---|
| 1. ბელტონ რივერსი (ენერჯი) | 8 |
| 2. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 2 |
| 2. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 7 |
| 4. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 6 |
| 5. არჩილ ჟღენტი (დინამო) | 5 |

| ჩაჭრა | |
|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 7 |
| 2. ბელტონ რივერსი (ენერჯი) | 4 |
| 2. ნიკოლოზ ნოზაძე (ვითა) | 4 |
| 2. გ. გულისაბედაშვილი (დინამო) | 4 |
| 2. ნოდარ სიგუა (დინამო)4 | |

| დაფარება | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 5 |
| 2. გულივერ ახალკაცი (დინამო) | 2 |

### ჩემპიონატის ლიდერები

| ქულა | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 26.6 |
| 2. ბელტონ რივერსი (ენერჯი) | 25.6 |
| 3. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) | 21.3 |
| 4. იოვან სტეფანოვი (ენერჯი) | 19.3 |
| 5. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა) | 18.6 |
| 6. შიო ხეცურიანი (თსუ) | 17.6 |
| 7. მიხეილ ბერიშვილი (ვითა) | 17.3 |
| 8. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 17.3 |
| 9. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 17.0 |
| 10. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 16.6 |

| მოხსნა | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 16.3 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 14.3 |
| 3. იოვან სტეფანოვი (ენერჯი) | 10.0 |
| 4. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 8.6 |
| 5. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 8.6 |
| 6. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 8.3 |
| 7. ანატოლი ბოისა (ენერჯი) | 7.6 |
| 8. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) | 7.0 |
| 9. ზვიად ბაბიაშვილი (ენერჯი) | 6.6 |
| 10. სოსო შერმადინი (მაკაბი) | 6.6 |

| პასი | |
|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 6.6 |
| 2. ბელტონ რივერსი (ენერჯი) | 5.6 |
| 3. ლაშა გამყრელიძე (ენერჯი) | 5.0 |
| 4. გიორგი მარხვაშვილი (ვითა) | 5.0 |
| 5. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 4.0 |

| ჩაჭრა | |
|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 4.0 |
| 2. მიხეილ ბერიშვილი (ვითა) | 3.0 |
| 3. ლაშა გამყრელიძე (ენერჯი) | 2.6 |
| 4. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 2.6 |
| 5. ნიკოლოზ ნოზაძე (ვითა) | 2.6 |

| დაფარება | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 3.6 |
| 2. ანვარ ფერგიუსონი (ენერჯი) | 3.0 |
| 3. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) | 1.6 |

### სიმბოლური ხუთეული




ლაშა გამყრელიძე
ენერჯი-ინვესტი
33 წუთი, 23 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა, 3 დაკარგვა




ბელტონ რივერსი
ენერჯი-ინვესტი
40 წუთი, 30 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა, 3 დაკარგვა



მიხეილ ფანჩულიძე
თსუ
34 წუთი, 32 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 4 დაკარგვა




რიჩარდ მათიაშვილი
თსუ
33 წუთი, 15 ქულა, 17 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა, 2 დაკარგვა



გიორგი შერმადინი
მაკაბი
36 წუთი, 25 ქულა, 18 მოხსნა, 2 პასი, 5 დაფარება, 4 დაკარგვა

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ახალი ლელოების ძველი ამოცანა: მოვუგოთ პორტუგალიას



**გუშინ** სასტუმრო „ვარაზში" საქართველოს ნაკრები შეიკრიბა და შემდეგ ვარჯიშიც ჩაატარა „შევარდენის" სპორტულ ბაზაზე. როგორც მოგეხსენებათ, ქართველი „ლელოები" 10 ნოემბერს ევროპის ერთა თასის გათამაშებაში პორტუგალიელებს დაუხვდებიან.

ჩვენები მსოფლიოს თასის შემდეგ პირველ შეხვედრას ჩაატარებენ და თანაც საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით. იმ მორაგბეებიდან, რომლებმაც საფრანგეთში ირაგბეს, მალხაზ ჭეიშვილმა ოდენ 13 კაცი შეიყვანა განაცხადში. დანარჩენი ცხრა ახალგაზრდა მოთამაშეა, ერთი მათგანი კი დებიუტანტი — ფეიქრიშვილი.

„ლელოებზე" ნებისმიერი ინფორმაცია ქართული რაგბის ქომაგებისთვის საინტერესოა და ჩვენც თბილისური პირველი ვარჯიშის პერიპეტიებზე მოგიყვებით და მალხაზ ჭეიშვილის მცირე ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ.

„შევარდენზე" ვარჯიში ხუთის ნახევარზე დაიწყო და დაახლოებით საათი და ოცი წუთი გაგრძელდა. მწვრთნელმა მორაგბეები გაახურა, გუნდი ორ ნაწილად გაყო და ხელდახელ თამაშიც გაჩაღდა. პირობით გუნდებს თითო ცხრა ნომრის ფუნქციის შემსრულებელი ჰყავდათ და უხეში კონტაქტის გარეშე მხოლოდ შეხება შეიძლებოდა — მოთამაშეები სხვადასხვა კომბინაციებს ხლართავდნენ და ოვალს წარმოსახვით ლელოში დებდნენ.

შემდეგ ჩვენი ნაკრები უკანახაზელებად და მორკინალებად დაიყო. ხაზის მოთამაშეებმა კომბინაციები დაამუშავეს, ხოლო მორკინალებმა და მხტომელებმა აუტის მოწოდებაში ივარჯიშეს. ბოლოს სათადარიგო ათმა ნომერმა ლაშა მალაღურაძემ შორიდან არტყა კარში და მორაგბეებიც გასახდელისკენ გაემართნენ.

მოედნიდან გამოსულმა **მალხაზ ჭეიშვილმა** რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხა:

**— არასრული შემადგენლობით ივარჯიშეთ. ხომ არავინაა ტრავმირებული?**

— საბედნიეროდ, ტრავმირებულები არ გვყავს. ირაკლი აბუსერიძე და დიტო ბასილაია ხვალ შემოგვიერთდებიან. მერაბ კვირიკაშვილმა კი გარკვეული პრობლემების გამო ვერ მოახერხა მოსვლა.

**— საკმაოდ სახეცვლილი შემადგენლობა გყავთ. რას იტყვით, ოპტიმალურია თუ არა იგი?**

— ამ დროისთვის ოპტიმალურ ოცდაორეულს მოვუყარეთ თავი, მაგრამ, ზოგადად, ნაკრებში გაახალგაზრდავების ტენდენციაა. ოღონდ არ იფიქროთ, თითქოს ვეტერანების დახმარებაზე უარს ვამბობდეთ, მათი გამოცდილება შეუფასებელია.

**— პორტუგალიასთან „ლელოებს" ვინ უკაპიტნებს?**

— რა თქმა უნდა, ირაკლი აბუსერიძე.

ნახევარდაცვაში კვირიკაშვილი-აბუსერიძის ტანდემი გაირჯება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მათ, შესაბამისად, მალაღურაძე-სამხარაძე შეცვლის.

რამდენიმე დღის წინ ჩვენ მიერ დაწერილ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ორი ცვლილება განხორციელდა— მამუკა გიორგაძის ნაცვლად — დიტო ბასილაია, ხოლო თეიმურაზ სოხაძის მაგივრად ლაშა ბასილაია იბურთავებს. აქვე მინდა გაცნობოთ, რომ „ლელოების" სპონსორი ერთა თასზე „ბი-თი-ეი სინქროუდი იქნება".

## ლელოები პორტუგალიასთან

*უკანა ხაზი:* *გიორგი ელიზბარაშვილი, რეზო გიგაური, ლაშა მალაღურაძე, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი, მერაბ კვირიკაშვილი, ბიძინა სამხარაძე, ირაკლი აბუსერიძე, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე.*

*შერკინება:* *ილია მაისურაძე, რატი ურუშაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესიკ უდესიანი, შალვა სუთიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, დიტო ბასილაია, იური ნატრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ირაკლი ჭყონია, დავით გასვიანი, გიორგი ჭლენტი.*

**ზურაბ მიგრიაული**



# რას იტყვის მსოფლიო?
## ჯერ პრაღა, მერე რუდმენის პასუხი

**ხვალიდან** 11 ნოემბრამდე პრაღა სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობას 52 ქვეყნის ნაკრები მიიღებს, საქართველო ცხრა კაცით გამოვა. ოლეგ იაძის გუნდი ჩეხეთში დღეს, გამთენიისას, თბილისი-სტამბოლი-პრაღის რეისით გაფრინდა. წინასაჩემპიონატო განწყობა კი სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში გამოჩნდა. მომავალი შეჯიბრის თაობაზე იაძის გარდა სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გოგუაძემ და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმაც ისაუბრეს. იქვე ერთი საინტერესო ინფორმაციაც გაჟღერდა.

უახლოეს დღეებში საქართველო 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ გააკეთებს ოფიციალურ განაცხადს. დეპარტამენტის თავმჯდომარის ხელმოწერილი წერილი ნაკრების თავკაცმა მსოფლიოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტ დავიდ რუდმენს პრაღაში უნდა გადასცეს.

„თუ სამბოს მსოფლიოს ფედერაცია პატივს დაგვდებს და მსოფლიოს ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებაზე დადებით პასუხს მივიღებთ, ფინანსური უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული იქნება" — თქვა ნამგალაურმა. ნაკრებს კი ადრინდელზე მეტ ყურადღებას და მხარში დგომას დაჰპირდა.

გიორგი გოგუაძემ წარმატებული სამბისტებისთვის პრემიები აქედანვე დააწესა. ფედერაციისა და „სახალხო ბანკის" პრეზიდენტი მსოფლიოს ჩემპიონებს 5000 ლარს ჰპირდება, ხოლო ვერცხლის მედალოსნებს — 2500-ს.

ყველაზე სიტყვაუხვი, რა თქმა უნდა, ოლეგ იაძე იყო. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საუბარი მოსამზადებელი ეტაპით დაიწყო და ცხრავე შეგირდის შანსებს შეეხო.

„პირველად მოხდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნაკრებმა სრული შეკრება გაიარა. ეს ჩვენი პრეზიდენტისა და სპონსორების დიდი დამსახურებაა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დასკვნითი შეკრება თავიდან საერთოდ არ გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ სპორტის დეპარტამენტმა დამატებითი თანხა გამოგვიყო. გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრში შესანიშნავ პირობებში მოვემზადეთ და შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებულად გამოსვლისთვის გუნდი სრულ მზადყოფნაშია.

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას **უშანგი კუზანაშვილი** დაიცავს. მისგან მედალს ველი და მიმაჩნია, რომ ფინალში გასვლა რეალურად ძალუძს.

***გელა ბარათაშვილი*** (57კგ) ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორია. წესით, სამეულში შესვლა არც ამჯერად უნდა გაუჭირდეს.

***დავით ხვიმონიშვილი*** (62კგ) წლეულს ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს მისთვის პირველი დიდი გამარჯვება იყო და იმედია, წარმატებულ სვლას გააგრძელებს.

***ნოდარ მჭედლიშვილს*** (68კგ) გამოცდილება ნამდვილად არ აკლია, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჯერჯერობით მედალი არ აუღია. იმედია, ნავსს პრაღაში გატეხავს.

***კახა მამულაშვილი*** (74კგ) ჭაბუკთა და ახალგაზრდულ პირველობებზე წარმატებით გამოდიოდა. ევროპის ჩემპიონიც გამხდარა. ასეთი რანგის ტურნირზე კი ჯერ არასოდეს უჭიდავია.

უფროსებში დიდი გამოცდილებით ვერც ***ლევან წიკლაური*** (82კგ) დაიკვეხნის, მაგრამ პრაღაში მედლისთვის ბრძოლა მაინც რეალურად შეუძლია. იგი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. მოგეხსენებათ, მას ძიუდოშიც აქვს წარმატებები — პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიისთვის იბრძვის.

90 კილოგრამში ***მინდია ბოლქვაძე*** იჭიდავებს და აუცილებლად ოქროს მედლისთვის იბრძოლებს. ვინც არ იცის, მათთვის ვიტყვი, რომ მინდია მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. ამასთან, ბოლო ორი წელია, ევროპის ჩემპიონატზეც უკონკურენტოა. როგორც წესი, ტიტულის შენარჩუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე მოპოვება, მაგრამ მჯერა, ბოლქვაძე ამჯერადაც გაგვახარებს.

***მირიან პაპლიაშვილი*** (100კგ) ბოლო წლებში თითქმის სულ პრიზიორებშია. საინტერესოა, რომ ყოველთვის მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა დგას, მაგრამ სულ რაღაც უშლის ხელს. იმედია, ახლა მიაღწევს წარმატებას. პრაღაში მირიანისგან მხოლოდ ოქროს ველოდებით. ვერცხლს ან ბრინჯაოს კი დამაკმაყოფილებლად ვერ მივიჩნევთ.

მძიმე წონაში ***ზვიად ჩინჩალაძის*** წარმატების შანსი ერთიორად გაეზარდა მას შემდეგ, რაც მისმა უშუალო კონკურენტმა, 11-გზის მსოფლიოს ჩემპიონმა რუსმა სპორტული კარიერა დაასრულა. ზვიადი ევროპის 2002 წლის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორია.

ცხრა სპორტსმენიდან შვიდს მედლის მოპოვების რეალური შანსი აქვს. წინასწარ ვიცით, რომ მსაჯებთანაც დიდი ჭიდაობა მოგვიწევს. ამის მიუხედავად ვიტყვი, რომ ჩეხეთიდან სამი ოქროს ჩამოტანა ნამდვილად შეგვიძლია. სხვა შემთხვევაში შედეგს წარმატებულს ვერ დავარქმევ".



**ოთარ გალლაძელიძე**

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# კოვალჩუკის კვირა



**გასული** კვირის პირველ ვარსკვლავად, ანუ საუკეთესო მოთამაშედ „ატლანტა თრეშერზის“ რუსი ფორვარდი ილია კოვალჩუკი დასახელდა.

ატლანტელებმა აღნიშნულ პერიოდში სამი მატჩიდან ორი მოიგეს და ორივე გამარჯვება პირადად კოვალჩუკის დამსახურება იყო, რომელმაც ზედიზედ ორი ჰეთ თრიქი შეასრულა და ექვს გოლს ერთი პასიც დაამატა.

კვირის მეორე და მესამე ვარსკვლავებად „ნიუ იორკ რეინჯერსის“ შვედი მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტი და მინესოტელი „ველურების“ სლოვაკი შემტევი მარიან გაბორიკი აღიარეს. ლუნდკვისტის გუნდმა გასულ შვიდდღეულში სამივე ჩატარებული თამაში მოიგო და შვედი ამ მატჩებში, საშუალოდ, ოდენ 0,65 გოლს უშვებდა და დარტყმების 97,6 პროცენტს იგერიებდა. რაც შეეხება გაბორიკს, სლოვაკი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა ყინულს და ორ მატჩში სამ გოლსა და ორ შედეგიან პასს მოუყარა თავი.

5 ნოემბერი

**კაროლინა 5:0 ვაშინგტონი**
*3:0 1:0 1:0*
1:0 სტილმანი (5), 2:0 სტილმანი (8), 3:0 სტილმანი (12), 4:0 სტაალი (37), 5:0 სტაალი (43)

**ნიუ ჯერსი 0:5 პიტსბურგი**
*0:2 0:2 0:1*
0:1 კროსბი (13), 0:2 პოლი (17), 0:3 სიკორა (26), 0:4 კრისტენსენი (32), 0:5 კროსბი (44)

**რეინჯერსი 2:0 ფილადელფია**
*1:0 0:0 1:0*
1:0 იაგრი (20), 2:0 შენაჰენი (57)

**მონრეალი 2:0 ბუფალო**
*0:0 1:0 1:0*
1:0 პლეკანეცი (34), 2:0 სმოლინსკი (60)

**ფლორიდა 4:3 ტამპა**
*2:1 1:1 1:1*
0:1 სენ ლუი (7), 1:1 იოკინენი (10), 2:1 პელტონენი (16), 2:2 ლაკოვიჩი (31), 3:2 მონტადორი (31), 3:3 უელე (44), 4:3 ბუტი (59)

**მინესოტა 5:2 ედმონტონი**
*3:0 2:2 0:0*
1:0 პერიში (5), 2:0 ბუშარი (19), 3:0 ფოსტერი (20), 4:0 პერიში (24), 4:1 პენერი (26), 5:1 ვეილე (35), 5:2 პორკოფი (36)

**კოლორადო 4:1 კალგარი**
*1:1 1:0 2:0*
0:1 იგინლა (5), 1:1 ბრიუნე (17), 2:1 ვოლსკი (32), 3:1 შჩასტნი (41), 4:1 შჩასტნი (51)

**ანაჰაიმი 0:5 დალასი**
*0:1 0:3 0:1*
0:1 რიბეირო (20), 0:2 იოკინენი (35), 0:3 მოროუ (39), 0:4 ლეჰტინენი (40), 0:5 კონერი (49)

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 13 | 8 | 5 | 0 | 40:31 | 16 |
| რეინჯერსი | 14 | 7 | 6 | 1 | 25:23 | 15 |
| პიტსბურგი | 14 | 7 | 6 | 1 | 43:41 | 15 |
| აილენდერსი | 11 | 7 | 4 | 0 | 33:35 | 14 |
| ნიუ ჯერსი | 14 | 5 | 7 | 2 | 32:44 | 12 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 13 | 12 | 1 | 0 | 45:26 | 24 |
| მონრეალი | 14 | 8 | 3 | 3 | 46:35 | 19 |
| ბოსტონი | 13 | 7 | 5 | 1 | 32:32 | 15 |
| ტორონტო | 15 | 6 | 6 | 3 | 52:57 | 15 |
| ბუფალო | 13 | 5 | 7 | 1 | 41:44 | 11 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 15 | 9 | 3 | 3 | 58:37 | 21 |
| ფლორიდა | 15 | 7 | 8 | 0 | 41:45 | 14 |
| ტამპა | 14 | 5 | 8 | 1 | 41:50 | 11 |
| ვაშინგტონი | 14 | 5 | 9 | 0 | 33:40 | 10 |
| ატლანტა | 14 | 5 | 9 | 0 | 37:57 | 10 |

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 14 | 11 | 2 | 1 | 49:31 | 23 |
| კოლუმბუსი | 13 | 8 | 3 | 2 | 36:23 | 18 |
| სენტ ლუისი | 13 | 7 | 6 | 0 | 33:30 | 14 |
| ნეშვილი | 14 | 7 | 7 | 0 | 38:41 | 14 |
| ჩიკაგო | 14 | 7 | 7 | 0 | 39:43 | 14 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 15 | 9 | 4 | 2 | 41:34 | 20 |
| კოლორადო | 14 | 9 | 5 | 0 | 46:38 | 18 |
| კალგარი | 15 | 6 | 6 | 3 | 45:49 | 15 |
| ვანკუვერი | 14 | 6 | 8 | 0 | 36:43 | 12 |
| ედმონტონი | 15 | 5 | 10 | 0 | 33:51 | 10 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 14 | 7 | 6 | 1 | 34:35 | 15 |
| დალასი | 14 | 6 | 6 | 2 | 39:38 | 14 |
| ლოს ანჯელესი | 15 | 7 | 8 | 0 | 46:47 | 14 |
| ანაჰაიმი | 16 | 6 | 8 | 2 | 34:43 | 14 |
| ფინიქსი | 12 | 5 | 7 | 0 | 29:34 | 10 |

ბომბარდირები: ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 24 (12+12); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 22 (9+13); ჯერომ იგინლა (კალგარი) 22 (10+12); მატს სუნდინი (ტორონტო) 21 (8+13); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 21 (6+15); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 19 (5+14); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 19 (12+7); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 19 (9+10); პოლ სჩასტნი (კოლორადო) 19 (7+12); ერიკ სტაალი (კაროლინა) 19 (8+11); კორი სტილმანი (კაროლინა) 19 (8+11)
გოლეადორები: კოვალჩუკი, ზეტერბერგი 12-12; ე. სტაალი, მაიკლ კამალერი (ლოს ანჯელესი) 11-11; რიკ ნეში (კოლუმბუსი), იგინლა 10-10; კროსბი, ალფრედსონი, ოლი იოკინენი (ფლორიდა), ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ბრედ ბოიესი (სენტ ლუისი), ვაცლავ პროსპალი (ტამპა) 9-9
ასისტენტები: ბრინდამორი 15; მალკინი, ალექს ტანგეი (კალგარი), პაველ დაციუკი (დეტროიტი) 14-14; მარტინ სენ ლუი (ტამპა), კროსბი, მეტ კალენი (კაროლინა), პოლ კარია (სენტ ლუისი), ჯასტინ უილიამსი (კაროლინა), სუნდინი 13-13
ნაყოფიერების კოეფიციენტი: კრის ფილიპსი (ოტავა) 14; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), ბრეტ ჰედიკანი (კაროლინა) 11-11; ჯ. უილიამსი, ერიკ კოული (კაროლინა), ზეტერბერგი, კულტ ზაუერი (კოლუმბუსი), ლასე კუკონენი (ფილადელფია), ჩაკ კობასიუ (ბოსტონი), ბრინდამორი, სტილმანი, ვოიტეკ ვოლსკი (კოლორადო), ნიკ ანტროპოვი (ტორონტო) 9-9

ხელბურთი


მამუკა მჟავანაძე

# გაურკვეველი სიტუაცია
## ყოფნა, არყოფნის საკითხი ქართულ ხელბურთში

**გუშინდელ** ნომერში გვეწერა, რომ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე იმედო ფხაკაძეს ორი კვირის ვადაში ეროვნული ნაკრების მომავალი სამუშაო პროგრამის წარმოდგენა დაევალა. ჩვენი ინფორმაციით, ისიც გადაწყვეტილი ამბავია, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე და მეორე მწვრთნელი ლევან გელაშვილი განთავისუფლებულები არიან სამსახურიდან. სავარაუდოდ, 20 იანვარს ლუქსემბურგთან „ჩელენჯ ტროფის“ ფინალური შეხვედრისთვის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი მოამზადებს. ხელბურთის ფედერაცია ოფიციალური კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. წესით, ყველაფერს ნათელი 19 ნოემბერს მაინც უნდა მოეფინოს. ამ დღეს იმედო ფხაკაძემ სამომავლო გეგმა უნდა წარმოადგინოს და გაირკვეს, თუ როგორ მოემზადება ნაკრები სალუქსემბურგოდ.

რაც შეეხება თავად მამუკა მჟავანაძეს, მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მისი საკითხი უახლოეს პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდება. იგივე დაგვიდასტურა ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ თევზაძემ, ვისაც გუშინ გვიან საღამოს შევეხმიანეთ.

**ლევან მაისურაძე**

ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი. კრეტა. საბერძნეთი. 27 ოქტომბერი — 7 ნოემბერი

# ქალების შანსი

**ჩემპიონატის** დასრულებამდე ერთი ტურით ადრე რუსეთის კაცთა ნაკრებმა ოქროს მედლები გაინაღდა. მერვე ტურში მათ ესპანელებს გაუყვეს ქულები, 15 ქულა დააგროვეს და მდევართათვის მიუწვდომელნი შეიქმნენ.

ჩვენმა ვაჟებმა ინგლისელებთან 1,5:2,5 წააგეს და კვლავაც მე-17 ადგილს დაუბრუნდნენ. პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავა თეთრებით მაიკლ ადამსთან დამარცხდა, მეორეზე კი თამაზ გელაშვილი შავებით გევინ ჯონსთან. მესამეზე თეთრებით ლევან ფანცულაიამ მარკ ჰებდენს მოუგო, ხოლო მეოთხეზე მერაბ გაგუნაშვილი შავებით სტიუარტ კონქუესტს დაუზავდა.

ქალებშიც რუსები ლიდერობენ და ჩემპიონობისთვის ერთი ქულაც ჰყოფნით. ქართველმა ქალებმა კი უნგრეთის გუნდს მოუგეს 2,5:1,5, ერთი საფეხურით აიწიეს და მედლის მოპოვების შანსს კვლავაც ინარჩუნებენ.

გუნდს გამარჯვების ქულა ლელა ჯავახიშვილმა მოუტანა. პირველ დაფაზე მან თეთრებით თხან თრანგ ჰოანგი დაამარცხა. მეორე დაფაზე ნინო ხურციძე შავებით სიდონია ვაიდას დაუზავდა, მესამეზე ნანა ძაგნიძე თეთრებით — ილდიკო მადლს, ხოლო მეოთხეზე მაია ლომინეიშვილი ანიტა გარას.

**ლაშა გეგეჭკორი**

| კაცები | |
|---|---|
| 1. რუსეთი | 15(22,5) |
| 2. ისრაელი | 12(19) |
| 3. სომხეთი | 12(19) |
| 4. ბულგარეთი | 11(20,5) |
| 5. საფრანგეთი | 11(18,5) |
| 17. საქართველო | 8(18,5) |
| **ქალები** | |
| 1. რუსეთი | 14(23) |
| 2. პოლონეთი | 12(21,5) |
| 3. სომხეთი | 12(19) |
| 4. საქართველო | 11(20,5) |
| 3. უკრაინა | 11(20,5) |

ჩოგბურთი

# ქართველები მინსკშიღა დარჩნენ

**საჩოგბურთო** სეზონი ფაქტობრივად მიიწურა, ATP-ისა და WTA-ს ეგიდით, ოდენ წლის დამაგვირგვინებელი ტურნირებიღა დარჩა გასამართი, თუმც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში მთელი რიგი შეჯიბრებები კიდევ დარჩა და ამ კვირაში მიმდინარე ასეთი ტურნირების მონაწილეთა შორის ხუთი ჩვენებურიც არის.

ამ ხუთეულიდან ძირითად ბადეში, ისიც ორგანიზატორთა მიწვევით, მხოლოდ ოქსანა კალაშნიკოვაა, ვისაც „ვაილდ ქარდი“ ბელარუსის დედაქალაქ მინსკში მიმდინარე 50-ათასიანი შეჯიბრის მესვეურებმა მისცეს.

ოქსანა პირველ წრეში საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ-ერთ გამარჯვებულს შეხვდება და არ არის გამორიცხული, მინსკის მაგარსაფარზე ქართული დერბი რომ შედგეს, რადგანაც კვალიფიკაციაში კიდევ ორი ჩვენებური — თინა ყაველაშვილი და სოფო შაფათავა თამაშობდა და ორივეს თითო მოგებაღა აშორებს ძირითად ბადეში მოხვედრას.

ყაველაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯერ რეიტინგში 467-ე ადგილზე მყოფ 21 წლის რუსს ვარვარა გალანინას მოუგო 7:5 6:4, შემდეგ კი მეორე რუსი, 20 წლისა და კლასიფიკაციის 724-ე ნომერი ტატიანი კოტელნიკოვა 7:5 4:6 7:5 დაჯაბნა. შაფათავამაც რუსები დაამარცხა — რეიტინგის 1058-ე პოზიციაზე მყოფ 18 წლის მაია პიტენინას 6:3 6:1 სძლია, ხოლო 21 წლის ვასილისა დავიდოვას, ვისაც კლასიფიკაციაში 616-ე საფეხური უპყრია — 6:3 6:4.

მესამე და გადამწყვეტ წრეში ყაველაშვილი ურეიტინგო ბელარუს ვიქტორია იემიალინოვას ხვდება, ხოლო შაფათავა უკრაინელ ვერონიკა კაპშაის, ვინც კლასიფიკაციაში 410-ე პოზიციაზე იმყოფება.


სოფო შაფათავა

საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში დამარცხდა ანა ტატიშვილი, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში, პიტსბურგის 75-ათასიან ტურნირზე თამაშობდა. პირველი მეტოქე, ურეიტინგო ამერიკელი ჟაკლინ ჰიუზი ანამ 6:1 6:0 გაანადგურა, მაგრამ შემდეგ 2:6 7:6 2:6 წააგო მრავალნაცად არგენტინელ კლარისა ფერნანდესთან, ვინც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში ოდენ 542-ეა, მაგრამ 2003 წელს 26-ე ნომერი იყო.

წარუმატებლად ითამაშა გერმანულ ეკენტალში მიმდინარე 25-ათასიან ჩელენჯერზე საქართველოს სადევისთასო ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ლადო ჩიხლაძემ. საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში ლადო 3:6 4:6 დამარცხდა უცნობ გერმანელ ანდრეას ტეტერმუშთან.

# იააფ-მა რჩეულები გაცხრილა

**მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ ამს წინათ იმ ოცდაორი ათლეტის (11-11 კაცი და ქალი) სია გამოაქვეყნა, საიდანაც 2007 წლის საუკეთესო მძლეოსანი კაცი და ქალი უნდა აირჩეს.

ახლა ეს სია ექვს სპორტსმენამდე შემცირდა — იააფ-ის მამებმა თავიანთი რჩეულები გაცხრილეს და წლის საუკეთესოს წოდებაზე სამი კაცისა და სამი ქალის კანდიდატურაღა დატოვეს.

კაცებში ესენი არიან მსოფლიოს ამერიკელი ჩემპიონი 100 და 200 მეტრზე სირბილში ტაისონ გაი, ეთიოპიელი სტაიერი ჰაილე გებრსელასიე და 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩინელი რეკორდსმენი ლიუ სიანი. ქალთა რჩეულს ამ სამეულიდან დაადგენენ: შვიდჭიდში მსოფლიოს ჩემპიონი, შვედი კაროლინა კლუფტი, გრძელი დისტანციების ეთიოპიელი პრიმა მესერეტ დეფარი და ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩი.




ჰაილე გებრსელასიე წლის მძლეოსნის წოდების ერთ-ერთი კანდიდატია

შეგახსენებთ, რომ წლის საუკეთესო მძლეოსნების ვინაობა 25 ნოემბერს, მონტე კარლოში შემდგარ გალა-წარმოდგენაზე გამოცხადდება.

**ოთარ მხეიძე**

# ღმერთო, ჯანმრთელი მამყოფე!

## ასაფა პაუელი პეკინურ ოქროზე ფიქრობს

**სამძლეოსნო** სეზონი, პრაქტიკულად, დასრულდა და სპორტსმენებიც 2007 წლის განმავლობაში სირბილ-ვარჯიშებში დაღლილ კუნთებს ასვენებენ. სხეულს ასვენებს, მაგრამ გონებას ვერა მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი ასაფა პაუელი. იამაიკელი სპრინტერისთვის 2007 წელს ნამდვილად ვერ დაერქმევა წარმატებული, მიუხედავად იმისა, რომ მან 100 მეტრის თავისივე მსოფლიო რეკორდს, 9,77 წამს, ერთბაშად 0,03 წამი ჩამოაჭრა და 9,74 წამზე ჩამოიყვანა, თუ აიყვანა. მას გულში უდიდეს ხინჯად რჩება ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხი — მან ხომ 100 მეტრის ფინალურ გარბენში წააგო ამერიკელ ტაისონ გაისთანაც და ბაჰამელ დერიკ ეტკინსონთანაც კი და დაკარგა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების კარგი შანსი.



ასაფას სწორედ ეს უღრღნის გულს და ტვინს — ის მსოფლიოს რეკორდსმენია, მაგრამ არც ოლიმპიური და არც მსოფლიოს ჩემპიონი არ გახლავთ.

ახლოვდება 2008 წელი, ოლიმპიური წელი და ფეხმარდი იამაიკელი ცდილობს, აქედანვე განეწყოს პეკინის ოლიმპიადისთვის. „ერთადერთი, რასაც ღმერთს ვთხოვ ისაა, რომ ამარიდოს ტრავმები და ჯანმრთელად მამყოფოს — ნატრობს პაუელი — მე ვეცდები, არ მოვდუნდე არც ერთ ვარჯიშზე და თავდაუზოგავად ვიმუშავო. ტრავმებს თუ გადავურჩი, კიდევ შევძლებ რეკორდის გაუმჯობესებას. მჯერა, რომ 9,6 წამის ფარგლებშიც შემიძლია სირბილი, მაგრამ მომავალი წლისთვის ჩემი მთავარი მიზანი პეკინის ოლიმპიადაა".

**კოტე ყორშია**





ალექს და ტომას ჰუბერები ელ კაპიტანზე სარეკორდო დროში აძვრნენ





# ჩიტის მარშრუტზე ძმები აფრინდნენ

**ამერიკაში,** კალიფორნიის შტატში მდებარე იოსემიტების ეროვნულ პარკში აღმართული კლდოვანი ელ კაპიტანის მასივი მთამსვლელთა და მეკლდეურთა თავისებური საჯილდაო ქვაა. მათ განსაკუთრებით იზიდავთ ის მარშრუტი, რომელსაც ნოსს უწოდებენ. ამ 1200 მეტრი სიმაღლის კლდის მონოლითურ მასივზე ასვლა მრავალი წლის განმავლობაში წარმოუდგენლად მიაჩნდათ, მაგრამ იგი ბოლოს მაინც დანებდა მთამსვლელებს. 1999 წელს ნოსზე ჩვენი მთამსვლელები ბიძინა გუჯაბიძე, გელა ოთარაშვილი და ბენო ქაშაკაშვილიც ავიდნენ თავიანთ უკრაინელ მეგობარ ოლეგ უშეროვთან ერთად, რისთვისაც აბსოლუტურად ვერტიკალური კლდოვანი ბასტიონის დაძლევა მოუხდათ, მიზანს კი მესამე დღეს მიაღწიეს.

ელ კაპიტანის ნოსზე, ბუნებრივია, რამდენიმე მარშრუტი არსებობს. ერთ-ერთ მათგანზე, რომელსაც მთამსვლელები 31-ე ჩიტის მარშრუტს უწოდებენ, მსოფლიოს რეკორდი დამყარდა. ამ მარშრუტს, ჩვეულებრივ, ორ დღეში გადიან, მაგრამ გერმანელმა ძმებმა ალექს და ტომას ჰუბერებმა იგი ფანტასტიკურად სწრაფად, 2 საათში, 45 წუთსა და 35 წამში დაძლიეს. ამგვარად, მათ თითქმის 3 წუთით გააუმჯობესეს ხუთი წლის წინ იაპონელი იუჯი ხირაამასა და გერმანელი ჰანს ფლორინის მიერ დამყარებული რეკორდი (2 საათი, 48 წუთი და 30 წამი).

ძმები ამ რეკორდის დამყარებას ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ცდილობდნენ. ამ ცდაში მათ ნოსზე სამი ახალი მარშრუტი აითვისეს და დაამუშავეს. შარშან გაზაფხულზე, როცა ამ ცდების შესახებ ფილმს იღებდნენ, ძმები სამსაათიან ზღვარს მიუახლოვდნენ, მაგრამ მაშინ ტომასი კლდეზე მოწყდა და დაშავდა, თუმცა მათი სწრაფვა ურეკორდოდ მაინც არ დასრულებულა. ერთ-ერთი ცდისას, რომელიც ზოდიაქოს მარშრუტზე განახორციელეს, მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს (1 საათი და 51 წუთი), ოღონდ ეს „ბილიკი" ნოსზე გამავალ 31-ე ჩიტის მარშრუტს სიგრძეში ორჯერ ჩამორჩებოდა.

ზოდიაქოზე ძმების მიერ დამყარებული ამ რეკორდის გაუმჯობესება მერე სხვებმაც სცადეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, თავად ხუბერებმა კი მთელი ყურადღება ჩიტის მარშრუტზე გადაიტანეს. მათ 4 ოქტომბერს ეს გზა 2 საათში, 48 წუთსა და 35 წამში აირბინეს, რითაც მსოფლიოს რეკორდს 5 წამით ჩამორჩნ,ენ, თუმც მერე გაირკვა, რომ ერთ-ერთი ძმა ფინიშთან სწორედ ხუთი წამით ადრე ასულა. ამის მერე ძმებმა დაიქადნეს, ნოსზე კვლავ დავბრუნდებით და რეკორდს ისევ შევუტევთო. მათ პირობა მართლაც შეასრულეს, ამის მერე ძველი რეკორდის თანაავტორმა ჰანს ფლორმა თქვა, ყოჩაღ, ძმებო, მაგრამ მგონია, რომ დროა, ჩემი ბუნაგიდან გამოვძვრე და ჩიტის მარშრუტს რეკორდის დასაბრუნებლად დავუბრუნდეო.

**ავთანდილ ბუყიშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

## ჯგუფური ეტაპი. IV ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**ლივერპული 8:0 ბეშიქთაში**

1:0 კრაუჩი (19), 2:0, 3:0, 4:0 ბენაიუნი (32, 53, 56), 5:0 ჯერარდი (69), 6:0, 7:0 ბაბელი (78, 81), 8:0 კრაუჩი (89)
ლივერპული: რეინა, ჰიიპია, რიისე, კარაგერი, ფ. აურელიო (ბაბელი 63), ჯერარდი (ლუკასი 74), მასკერანო, არბელოა, ვორონინი (კიუელი 73), ბენაიუნი, კრაუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბეშიქთაში: არიკანი, კურტულუში (ფ. იგუაინი 52), სედეფი (რიკარდინიო 78), მ. დელგადო, ლ. დიატა, ე. სისე, უზულმეზი, ოზკანი (ტანდოგანი 46), ავჩი, ტორამანი, ბობო
მწვრთნელი: ერტუღრულ საღლამი
გაფრთხილება: ოზკანი
მსაჯი: მარკუ მერკი (გერმანია)
41 143 მაყურებელი

**პორტუ 2:1 მარსელი**

1:0 სეკტიუი (27), 1:1 ნიანგი (47), 2:1 ლ. ლოპესი (79)
პორტუ: ელტონი, ბ. ალვეში, მ. სტეპანოვი, მ. ჩეხი (პოშტიგა 59), პ. ასუნსაო, კვარესმა, ბოსინგვა, მეიერლეში (ბოლატი 68), სეკტიუი (მ. გონსალესი 87), ფუსილე, ლ. ლოპესი
მწვრთნელი: ჟესუალდუ ფერეირა
მარსელი: მანდანდა, ტაივო, როდრიგესი, მბამი (შეირუ 84), კანა, ბონარი, ვალბუენა, აიუი (არაჩე 77), გივე, ნასრი, ნიანგი (ჟ. სისე 63)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ელტონი, ფუსილე
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
42 217 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ლივერპული | 4 | 1 | 1 | 2 | 10:4 | 4 |
| ბეშიქთაში | 4 | 1 | 0 | 3 | 2:12 | 3 |

### B ჯგუფი

**ვალენსია 0:2 რუსენბორგი**

0:1, 0:2 ივერსენი (31, 58)
ვალენსია: ჰილდებრანდი, მ. ფერნანდეში, ალბელდა, კანეირა, ელგერა, მორეტი (ანგულო 63), მიგელი, სილვა, ხოაკინი (ჟიგიჩი 63), ვილია, მორიენტესი (ვისენტე 46)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
რუსენბორგი: ჰირშფელდი, სტოორი, უ. კონე, რისეტი, შელბრედი (სტორფლორი 80), ტეტი, ა. ტრაორე, კვარმე, საპარა (კონანი 84), დორსინი, ივერსენი
მწვრთნელი: ტრონდ ჰენრიკსენი
გაფრთხილება: ანგულო
მსაჯი: ალონ ეფეტი (ისრაელი)
29 725 მაყურებელი

**შალკე 0:0 ჩელსი**

შალკე: ნოიერი, ვესტერმანი, ჯონსი, რაკიტიჩი, ასამოა, ოზილი (ლოვენკრანდსი 60), რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ბაირამოვიჩი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ჩელსი: ჩეხი (კუდიჩინი 46), მაკელელე, ესიენი, კარვალიუ, ალექსი, ბელეტი (ობი მიკელი 63), ლამპარდი, ბრიჯი, ჯო კოული, მალუდა (შ. რაიტ-ფილიპსი 84), დროგბა
მწვრთნელი: აბრაამ გრანტი
გაფრთხილება: ესიენი, რაკიტიჩი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
53 951 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| რუსენბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |

### C ჯგუფი

**ლაციო 2:1 ვერდერი**

1:0, 2:0 როკი (57, 68), 2:1 დიეგო (88პ)
როკიმ ვერ გაიტანა პენალტი (57)
ლაციო: ბალოტა, სტენდარდო, ძაური (დე სილვესტრი 18), მუტარელი, მეგნი (მანფრედინი 78), ლედესმა, კრიბარი, მუნდინგაი, ბეჰრამი, მაკინვა (სკალონი 87), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
ვერდერი: ვიზე, პასანენი, ბაუმანი (დ. იენსენი 32), ნალდო, ფრიცი (ჰარნიკი 76), ანდრეასენი, ბოროვსკი, მერტესაკერი, დიეგო, როსენბერგი, უგო ალმეიდა
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: სტენდარდო, დე სილვესტრი, კრიბარი, კრიბარი, დიეგო, ანდრეასენი
გაძევება: კრიბარი (86), დიეგო (90)
მსაჯი: ივან ბებეკი (ხორვატია)
28 236 მაყურებელი

**ოლიმპიაკოსი 0:0 რეალი**

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პაცაცოლლუ, ჟულიო სეზარი (მენდრინოსი 75), სტოლტიდისი, გალეტი, ჟევლაკოვი, ჯორჯევიჩი, კოვაჩევიჩი (კონსტანტინუ 80), რ. ბრავო (არჩუბი 53), პანტოსი, ლუალუა
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
რეალი: კასილიასი, კანავარო, ს. რამოსი, დიარა, მარსელო, ჰაინცე, გაგო, სნეიდერი, რაული (ბალბოა 82), რობინიო (სავიოლა 82), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: კასილიასი, ს. რამოსი, ჯორჯევიჩი, სტოლტიდისი, პანტოსი
მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
33 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ლაციო | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ვერდერი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |

### D ჯგუფი

**შახტარი 0:3 მილანი**

0:1 ინძაგი (66), 0:2 კაკა (72), 0:3 ინძაგი (90)
შახტარი: პიატოვი, ჰუბშმანი, ჟადსონი, ილსინიო, ფერნანდინიო, რაცი (ვილიანი 73), ჩიგრინსკი, სრნა, იეზერსკი, ბრანდაო (ბრანდაუ 84), ლუკარელი (კასტილიო 77)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მილანი: დიდა, კალაძე, ნესტა, სერჟინიო (ბროკი 85), ბონერა, გატუზო, ზეედორფი (მალდინი 79), პირლო, ამბროზინი, კაკა, ჯილარდინო (ინძაგი 63)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, კაკა, ფერნანდინიო, ილსინიო
მსაჯი: პიტერ ვინკი (ჰოლანდია)
25 700 მაყურებელი

**სელტიკი 1:0 ბენფიკა**

1:0 მაკგეიდი (45)
სელტიკი: ბორუცი, ნეილორი, კოლდუელი, ბრაუნი (სნო 89), ჰარტლი, იაროშიკი (დონატი 66), მაკგეიდი, კენედი, მაკდონალდი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (კილენი 66)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბენფიკა: კიმი, ლ. ფელიპე, ედკარლოსი, ლუიზაო, ლეო, კაცურანისი, რუი კოშტა (ბერხესიო 77), მ. პერეირა (დი მარია 71), ბინია, კ. როდრიგესი, ო. კარდოსო (ნუნუ გომეში 77)
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
გაფრთხილება: მ. პერეირა
გაძევება: ბინია (85)
მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
58 691 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| შახტარი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | 3 |


მილანელმა კახა კალაძემ უშეცდომოდ ითამაშა

AFP

# თავსხმა და თავდასხმა

**ჩემპიონთა** ლიგაში ახალი რეკორდი დამყარდა — აქამდე ყველაზე დიდი სხვაობით „იუვენტუსს“ „ოლიმპიაკოსისთვის“ და „არსენალს“ „სლავიასთვის“ 7:0 მოეგოთ, წუხელ კი „ლივერპულმა“ „ბეშიქთაში“ 8:0 შეარცხვინა.

როგორც ჩანს, მერსისაიდელებმა ჯგუფში ჩარჩენის რეალური საფრთხე იგრძნეს და ყური გამოიფხიკეს. მათი რვა გოლიდან ორი ძალიან ეფექტური გახლდათ. პირველი, როცა სტივენ ჯერარდმა ანდრეი ვორონინის ქუსლურის შემდეგ ჩაჭედა თურქთა კარში და მეორე, როცა რაიან ბაბელმა თავისი ორი გოლიდან ერთ-ერთი ქუსლით შეაგდო.

A ჯგუფის მეორე მატჩში „მარსელმა“ ბევრი იწვალა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა უკეთ მოთამაშე „პორტუსთან“. „დრაკონებმა“, კერძოდ კი, ლისანდრო ლოპესმა გამარჯვების გოლი 79-ე წუთზე გაიტანა და თავისი გუნდი ჯგუფის ლიდერად აქცია.

„ვალენსიას“ თავკაცის რანგში ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი უხეიროდ გამოუვიდა რონალდ კუმანს, „რუსენბორგმა“ კი მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზა. ნორვეგიელებმა ვეტერანი სტეფან ივერსენის დუბლით სამი ქულა წაიღეს „მესტალიადან“ და „ღამურები“ ჯგუფის აუტსაიდერად აქციეს.

„ჩელსიმ“ კი სასურველი ქულა აიღო „აუფ შალკეზე“. გელზენკირხენელებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი კარის ჩარჩოს, მაგრამ მაინც ქულას დასჯერდნენ.

რომის „ლაციოს“ „ვერდერთან“ მატჩში გამარჯვების მეტი ხელს არაფერი აძლევდა და იტალიელებიც ბოლომდე დაიხარჯნენ მიზნის მისაღწევად. ტომაზო როკიმ 57-ე წუთზე პენალტი კი გააცუდა, მაგრამ დამატებაზე თავადვე ივარგა და ათ წუთში მეორეც შეაგდო.

86-ე წუთზე „ლაციოს“ ემილსონ კრიბარი გაუძევეს და პენალტი დაუნიშნეს, რომელიც დიეგომ გამოიყენა. თუმცა ბრემენელებმა მეტი ველარ შეძლეს. დიეგო კი საფინალო სასტვენის შემდეგ ზედმეტი ლაპარაკისთვის მინდვრიდან გააძევეს.

„ოლიმპიაკოსი“ — „რეალი“, მიუხედავად შექმნილი მომენტებისა, უგოლოდ მორჩა. გამარჯვებასთან უფრო ახლოს მადრიდელები იყვნენ, მაგრამ მათთვის ფრეც მეტ-ნაკლებად მისაღები შედეგი გახლდათ. მეორე ადგილისთვის კი ამ ჯგუფში უშელავათო ბრძოლა ბოლო წამამდე გაგრძელდება.

კრიზისში მყოფმა „მილანმა“ მეორე ტაიმში გატანილი სამი გოლით დააცხრო ამბიციური „შახტარი“. შეცვლაზე შესულმა ფილიპო ინძაგიმ ანდრეა პირლოსა და კაკას ჩინებული პასების შემდეგ გაიტანა. სუპერპაპოს გოლებს შორის კი თავად კაკას მშვენიერი დარტყმა გახლდათ.

პირველი ტაიმის ბოლო წამებზე გატანილი გოლით „სელტიკმა“ „ბენფიკას“ 1:0 მოუგო და მეორე ადგილისთვის ბრძოლა ამ ჯგუფშიც ძალიან დაიძაბა — პირველზე ალბათ „მილანს“ ვერავინ შეეცილება.

**გიორგი ქაქაბაძე**



„ოლიმპიაკოსმა“ და „რეალმა“ ერთმანეთს გოლები ვერ გაუტანეს, მაგრამ ნერვები კი დაიწყვიტეს

AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი ქაქაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფურაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბეხელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა